# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 23 თებერვალი 1998 №26 (561) ფასი 40 თეთრი


# ნაგანო მართლაც ბრწყინვალე იყო

## სამარანჩმა მედალი მოიპარა


ელგუჯა ბერიშვილი

ნაგანოდან




| ქვეყნების მონაგარი | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| გერმანია | 12 | 9 | 8 |
| ნორვეგია | 10 | 10 | 5 |
| რუსეთი | 9 | 6 | 3 |
| კანადა | 6 | 5 | 4 |
| აშშ | 6 | 3 | 4 |
| ჰოლანდია | 5 | 4 | 2 |
| იაპონია | 5 | 1 | 4 |
| ავსტრია | 3 | 5 | 9 |
| კორეა | 3 | 1 | 2 |
| იტალია | 2 | 6 | 2 |
| ფინეთი | 2 | 4 | 6 |
| შვეიცარია | 2 | 2 | 3 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 5 |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 1 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 0 |
| ჩინეთი | 0 | 6 | 2 |
| შვედეთი | 0 | 2 | 1 |
| დანია | 0 | 1 | 0 |
| უკრაინა | 0 | 1 | 0 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 2 |
| ყაზახეთი | 0 | 0 | 2 |
| ავსტრალია | 0 | 0 | 1 |
| ბელგია | 0 | 0 | 1 |
| ბრიტანეთი | 0 | 0 | 1 |

შენიშვნა: ორი ოქრო დარიგდა ორადგილა ბობსლეიში, ორი ვერცხლი — ვაჟთა სუპერ-გიგანტში, ორი ბრინჯაო — ოთხადგილა ბობსლეიში.

ოლიმპიური სოფლიდან (აწ უკვე ყოფილი სოფლიდან) ნაგანოს სპორტულ პარკამდე თხუთმეტიოდე წუთის სავალია. ჩვენ ორჯერ გავიარეთ ეს გზა. პირველად — თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალზე, მეორედ — 22 თებერვალს, როცა ოლიმპიადა დაიხურა. სულ რაღაც ნახევარი საათია, რაც პარკიდან მოვბრუნდით და ახლა აქ სოფელში გრძელდება ზეიმი: შემოსასვლელთან, უშველებელ მოედანზე სახელდახელო ესტრადა მოუწყვიათ, კოცონი დაუნთიათ და არის ერთი ბრაგაბრუგი, შეკრებილებს თანამედროვე სიმღერებს და ტრადიციულ იაპონურ კერძებს სთავაზობენ. ვისაც არსად ეჩქარება და ძალაც შერჩა, ღამით მშვენიერი გართობა ელის. ჩვენ ორ საათში უნდა ავიბარგოთ აქედან, ავტობუსი ტოკიომდე ჩაგვიყვანს, იქ კი თვითმფრინავი გველოდება. ჩვენთან ერთად 9 ოქროს, 6 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი „იმგზავრებს", მხოლოდ მოსკოვამდე, რა თქმა უნდა. რუსებმა იმდენი მოახერხეს, რომ წინ მხოლოდ გერმანელები (29 მედალი) და ნორვეგიელები (25) გაუშვეს. საერთოდ, მედალი 24 ქვეყანას ერგო. ამ სიაში, სამწუხაროდ, საქართველო არ არის. ამის იმედი არც აქ წამოსულებს გვქონდა და არც შინ დარჩენილებს. ამ ჯერზე ზურაბ ჯიჯიშვილის მეთოთხმეტე ადგილი უნდა ვიკმაროთ. ჯიჯიშვილმა ნაგანოში მაქსიმუმი შეძლო, ალბათ, უფრო მეტიც. ოლიმპიადაზე ამ ადგილს შემთხვევით და მხოლოდ ბედის წყალობით ვერ დაიკავებ. შემთხვევით შეიძლება წაიქცე. ასე მოუვიდა სოფო ახმეტელს, რომელმაც ზედ ფინიშთან, ბოლო კართან წაიბორძიკა და სლალომისტთა შეჯიბრებაში უადგილოდ დარჩა. ტრასის ურთულესი მონაკვეთები მშვიდობიანად გაიარა და ხიფათი, თურმე, სად ელოდებოდა. თითქმის იგივე დაემართა ლევან აბრამიშვილსაც, რომელიც ბოლო მომენტში ჩართეს ოლიმპიელთა რიგებში.

საქართველოს სახელით ოთხმა სპორტსმენმა იასპარეზა ნაგანოში, არადა, თავისთავად ზამთრის სპორტში ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება ძნელი საქმეა. მაგალითად, რაკი ჩვენმა მეზობლებმა, აზერბაიჯანელებმა ეს ვერ მოახერხეს, ადგნენ და სპორტსმენები რუსეთში „შეიძინეს", რათა მათი ქვეყანაც მარაქაში გარეულიყო და სხვათა გვერდით აზერბაიჯანის დროშასაც ეფრიალა.

თუ მთავარი ოლიმპიადაში მონაწილეობაა და არა გამარჯვება, მაშინ ყველაფერი რიგზეა. ისე, გამარჯვებაც არ ჩანს ურიგო. უნდა გენახათ, რა ხდებოდა „ბიგ ჰეთ"-ში, როცა სირენამ ჰოკეისტთა ფინალური მატჩის დამთავრება და ჩეხეთის ნაკრების გამარჯვება გვაუწყა. ჩაფხუტები და ყვანჯები ჰაერში, ჩეხი ჰოკეისტები კი მეშვიდე ცაზე დაფრინავდნენ. ვნებათაღელვა მაშინ დაცხრა, როცა ორგანიზატორებმა მორიდებულად ითხოვეს, იქნებ დაჯილდოება დროზე მოგვათავებინოთ, დროის ლიმიტი მთლიანად ამოიწურა, თქვენც და ჩვენც ოლიმპიადის დახურვაზე დაგვაგვიანდებაო. მედლები თვითონ ხუან ანტონიო სამარანჩმა ჩამოარიგა — ჯერ ჩემპიონებს მიაგო პატივი, მერე რუსებს გადასცა „ვერცხლი". როცა „ვალი" მთლიანად გაისტუმრა, ლანგარზე ერთი ზედმეტი მედალი აღმოჩნდა. სამარანჩმა მედალი ჯიბეში ჩაიდო და ასე ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა დატოვა დარბაზი. უფრო ადრე, პირველივე შესვენებაზე წაბრძანდა მისი უდიდებულესობა, იაპონიის იმპერატორი, რომელსაც გვერდს მეუღლეც უმშვენებდა. იქვე, სამიოდ მეტრში ვიჯექი და ვიდრე დაცვის თანამშრომელმა „თითი დაგვიქნია", მე და ჩემმა მეზობლებმაც ვაჩხაკუნეთ ფოტოაპარატი.

ორი საათის შემდეგ იმპერატორიც და სამარანჩიც, ცხადია, დახურვის ცერემონიალზე გამოგვეცხადნენ. სამარანჩმა ტრადიციული სიტყვა ტრადიციული ფრაზით დაასრულა: „ეს იყო საუკეთესო ოლიმპიადა ყველა ადრინდელ ზამთრის თამაშებს შორის."

ამჯერად სამარანჩი ნამდვილად არ ტყუოდა.

ეს მართლაც ბრწყინვალე ოლიმპიადა იყო.



ჩეხთა მეკარე ჰაშეკმა რუსი კრივოკრასოვი კი არა, ლამის ყველა მეტოქე თავდამსხმელი გაახუნა

# პრაღაში შამპანურმა ამოხეთქა

ოლიმპიური ტურნირის ფინალურმა მატჩმა ჩეხეთში და, რაღა თქმა უნდა, მის დედაქალაქ პრაღაში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. 7 ათასმა პრაღელმა შეხვედრის მოლოდინში მთელი ღამე და-ჰყო ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. ახლომდებარე კლუბებსა და ბარებში თავისუფალ ადგილს ვერ ნახავდით — თავმოყრილი ხალხი ორი საათის განმავლობაში თვალს არ აშორებდა უზარმაზარ ეკრანს, რომელიც საგანგებოდ ამ მოვლენისთვის დაეყენებინათ. როცა თამაშის დამთავრებამდე წამებიღა დარჩა, მაყურებლებმა ერთხმად დაიწყეს დარჩენილი დროის თვლა, ხოლო საფინალო სასტვენი გაისმა თუ არა, მოედანზე სახალხო ზეიმი დაიწყო: ათასობით ალამი აფრიალდა, უსაზღვროდ გახარებული ქომაგები შამპანურს არ იშურებდნენ, ქუჩებში მთელი ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა მანქანების მოძრაობა. ჩეხმა ტელეკომენტატორმა ეს გამარჯვება 50 წლის წინანდელ ამბებს დაუკავშირა: „1948 წლის თებერვალს რუსებმა გზა გადაგვიკეტეს დასავლეთისკენ, 1998-ის თებერვალში კი სიმბოლურ ტრიუმფს ვზეიმობთ. ეს ჩვენი გამარჯვების თებერვალია".

ჩეხური ჰოკეის ისტორიაში ყველაზე დიდ მიღწევას ქვეყნის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველიც გამოეხმაურა: „ვულოცავ (გილოცავ) მოთამაშეებისა და ჩეხი ხალხის სიხარულს. ჩვენი ჰოკეი კვლავ იტყვის თავის სიტყვას მსოფლიო ასპარეზზე". აღსანიშნავია, რომ ჩეხეთის ნაკრები მთელი შემადგენლობით ჩავა პრაღაში, მიუხედავად იმისა, რომ მის 11 ნჰლ-ელს რეგულარული ჩემპიონატის მატჩები ელის. ასე რომ, მთავარი ზეიმი ჯერ კიდევ წინაა.

# მშვიდობით, ნაგანო!

ნაგანო გამოეთხოვა თეთრ თამაშობებს და ჩირაღდანი ზამთრის მომავალი ოლიმპიადის მასპინძელ ამერიკულ სოლტ ლეიკ სიტის გადაულოცა.

თექვსმეტდღიანი თხილამურობის, ციგაობის, ციგურაობისა და სრიალის შემდეგ მსოფლიოს ასობით ზამთრის სპორტსმენმა მოიყარა თავი ნაგანოს მინამი პარკში, რათა ერთმანეთს და თოვლის თამაშებს გამოთხოვებოდნენ.

სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა თბილი სიტყვები უთხრა ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქს.

ოლიმპიადის დახურვის წარმოდგენა არ იყო ისეთი გრანდიოზული, როგორიც გახსნა. არსად ჩანდნენ ავი სულების მდევნელი სუმოს გოლიათები და ხუთი კონტინენტიდან მოწვეული მგალობლები. სამაგიეროდ, ეს გამოთხოვების ნაღდი ზეიმი იყო, მოჭიკჭიკე მოსწავლე გოგონებით, 30 მეტრის სიმაღლის მოცეკვავე ლომითა და იაპონური ფერადი მაშხალებით.

იყო ბევრი მუსიკა, მხიარული იაპონური მელოდიები. 72 ქვეყნის სპორტსმენები არენის გარშემო იდგნენ და ქომაგებს ეთხოვებოდნენ. ქვეყანათა დროშები ოლიმპიადაზე სახელმოხვეჭილთ მოჰქონდათ. მაგალითად, კანადის დროშა მოჰქონდა ციგურაობის ჩემპიონ გოგოს კატრიონა ლემეი დოუნს. მას უკან სდევდა „დიად ვინმედ" სახელდებული უბერებელი ჰოკეისტი უეინ გრეცკი, ოქროს მედლის გარეშე რომ დაასრულა თავისი პირველი და უკანასკნელი ოლიმპიადა.

ალლუმის ბოლო გუნდად მასპინძელი იაპონია იდგა. მაყურებელთა გამორჩეული ტაში და ცრემლი სწორედ ამ გუნდს ერგო. იაპონიის ეროვნული დროშა ასევე მოციგურავე ჰიროიაში შიმიცუს მოჰქონდა. მან პირველი ოქრო მოუტანა იაპონიას ნაგანოში. აქ მოპოვებული ხუთი თეთრი ოქრო სარეკორდოა იაპონიისთვის.

ოლიმპიადის დამამთავრებელი თამაშები კი ზეიმამდე გაიმართა. ჩეხმა ჰოკეისტებმა 1:0 მოუგეს რუსეთს, ნორვეგიელმა ბიორნ დელიმ კი ბარის თხილამურობის 50-კილომეტრიან დისტანციაზე იმარჯვა.

საპატიო სტუმართა შორის უპირველესნი იაპონიის იმპერატორი აკიჰიტო და მისი თანმეცხედრე მიჩიკო იყვნენ. მათ მხარს უმშვენებდა შვედეთის მეფე კარლ-გუსტავი. აქვე იყო ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ელ გორის ცოლი ტიპერი. მაგრამ ოლიმპიადის დახურვის მეჯლისს მაინც აკლდა რამდენიმე განთქმული სახელი. ვთქვათ, ამერიკის ჰოკეისტთა გუნდი, ამერიკელი ვარსკვლავები, რომლებიც ისე გაანაწყენა მეოთხედფინალში მარცხმა, რომ ოლიმპიურ სოფელში ავეჯიც კი დაალეწინა. ამერიკელები შინ გაფრინდნენ, მაგრამ ქვეყნის დროშა მაინც ჰოკეისტს მოჰქონდა. ეს იყო კეტრინ გრენატო, რომელიც ქალთა ჰოკეის გმირად იქცა.

ამერიკელთა გუნდი ყველაზე დიდი იყო ნაგანოში, თუმცა იმედგაცრუებაც არ აკლდა. ამიტომაც გუნდის რიგებიდან ამოზრდილმა ვეება ტრანსპარანტმა სხვაგვარი დატვირთვაც შეიძინა: „გმადლობთ, ნაგანო. სოლტ ლეიკ სიტიში შევხვდებით!"

ალლუმ-მეჯლისის გასრულების შემდეგ ნაგანოს მერმა ტასუკუ ცუკადამ ოლიმპიური დროშა გადასცა სამარანჩს, რომელმაც თქვა, ამ წმინდა ალამს სოლტ ლეიკ სიტი ჩაიბარებსო."

შემდეგ კი ხალხმა დაინახა მომავალი ოლიმპიადის ქალაქი. სოლტ ლეიკ სიტი 1847 წელს დაუარსებიათ მორმონთა სექტის წევრებს მთიან იუტას შტატში. ამიტომაც, მინამი პარკის მიწიდან მოულოდნელად ამოიზარდა მთა-გორები. არენაზე ათი ამხედრებული კოვბოი შემოვარდა ლასოების ტრიალით და მორმონული გალობაც გაისმა. „საუკეთესო ზამთრის ოლიმპიადა" დასრულდა, ახალმა მასპინძელმა კი მიიღო დროშა და ფიქრი „კიდევ უფრო უკეთესი" თამაშების მოსაწყობად.

„ოლიმპიადამ გვიჩვენა, რომ ხალხთა შორის ძმობა და ერთობა სულაც არ არის ზღაპარი, „არიგატო, ნაგანო! საიონარა, ნიპონ!"




გმადლობთ, ნაგანო, სოლტ ლეიკ სიტიში შეხვედრამდე!

# ნორვეგიის ეროვნული გმირი კვლავაც მადაზეა



ოლიმპიადეზე მერვედ გამარჯვებული დელი ფინიშზე სიქაგაცლილი დაეცა

ბარის თხილამურობა

ბიორნ დელიმ თავის ისედაც რეკორდულ მონაგარს — 7 ოლიმპიურ ოქროს თამაშების უკანასკნელ დღეს ერთიც მიუმატა, ამჯერად 50 კილომეტრ დისტანციაზე. ნორვეგიელი გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად ისეც ითვლებოდა, მაგრამ როდესაც ოლიმპიურ სოფელში გავრცელებულმა გრიპმა ფინეთის გუნდს დარია ხელი და ამ დისტანციის მსოფლიო და 30 კილომეტრზე ნაგანოს ოლიმპიური ჩემპიონი მიკა მიულულე აიძულა, ვადამდე ადრე აბარგებულიყო, დელის შანსები ერთიორად გაიზარდა. ორგანიზატორებმა, ეტყობა, დაძაბულობის გაზრდის მიზნით, ყველა ბობოლა მოთხილამურე პირველ ჯგუფში შეყარეს და ერთმანეთისგან 30-30 წამის დაშორებით გაუშვეს ტრასაზე. დისტანციის პირველ მესამედში დელის თავი არ გამოუდია, სამაგიეროდ, 30 კილომეტრზე 1988 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული და დერჟავის ოლიმპიური გუნდის მედროშე ალექსეი პროკუროროვი ფრიად გაისარჯა, ყველას აჯობა და რუსეთის ტელევიზიის კომენტატორებს აღფრთოვანებული ქება-დიდებაც დასტყუა. მანძილის ზრდასთან ერთად რუსის ტემპიცა და მის გულშემატკივართა ენთუზიაზმიც თანდათან ეცემოდა, ასპარეზობას კი ტრასის ორი მესამედის გავლის შემდეგ ყველასათვის მოულოდნელად 23 წლის უცნობი ავსტრიელი, კრისტიან ჰოფმანი ჩაუდგა სათავეში. საინტერესო იყო ისიც, რომ პირველ სამ ადგილზე მყოფმა მოთხილამურეებმა — ჰოფმანმა, დელიმ და შვედმა იონსონმა, რომლებიც ტრასაზე შესაბამისად მეოთხე, მესამე და მეორე ნომრით წავიდნენ, 33,4 კილომეტრიანი ნიშნული მხარდამხარ გადაკვეთეს. მთავარი ამბები დისტანციის ბოლო მესამედში დატრიალდა: ტრიო ჰოფმანის ჩამორჩენის გამო ჯერ დუეტად იქცა, მერე კი იონსონი დელისაც გაექცა და თავგამოდებული სპურტით ნახევარწუთიანი ჩამორჩენის ანაზღაურება სცადა. ამ დროს ჰაკუბას უკვე კარგი მცხუნვარე მზე ადგა თავზე, რომელმაც თოვლიც გაალღო და მოთხილამურეებს ისედაც ზედმეტად გრძელი გზა კიდევ უფრო გაურთულა. იონსონმა ნორვეგიელის დაწევა მაინც ვერ შეძლო — საბოლოოდ პირველ ადგილს 8,2 წამით ჩამორჩა, სამაგიეროდ, დელი ბოლო კილომეტრებზე საკმაოდ გაანერვიულა და შემორჩენილი ძალებიც სრულიად დაახარჯვინა. ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ აწ უკვე რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონი (3 — 1992-ში, 2 — 1994-ში, 3 — 1998-ში) არაქათგამოცლილი დაეცა, კარგა ხანი სულს ვერ ითქვამდა და წამოდგომა მხოლოდ ორი თავისიანის დახმარებით შეძლო. ბრინჯაოს მედალი ნორვეგიელისგან 53 წამის ჩამორჩენით ჰოფმანს ერგო, ზემოხსენებული პროკუროროვი კი მეოთხე ადგილს დასჯერდა. დელიმ რბოლა ცხოვრებაში ყველაზე მძიმედ შერაცხა, ნაგანოს ოლიმპიურ ტრასას კი ერთობ რთული უწოდა. ამ გამარჯვების შემდეგ მას უკვე 8 ოქრო და 4 ვერცხლი დაუგროვდა და გამარჯვებების მხრითაც ზამთრის თამაშების რეკორდსმენია და მედლების რაოდენობითაც. ნორვეგიის ეროვნული გმირი ჯერჯერობით სპორტიდან წასვლას არ აპირებს და არც სოლტ ლეიკ სიტის 2002 წლის ოლიმპიადაზე გამოსვლას უარყოფს ხელაღებით. ყველა დროის უდიდესი მოთხილამურე მაშინ მხოლოდ 34 წლისა იქნება და ვინძლო მედლების ახლანდელ მარაქას ერთი-ორი კიდევ წაუმატოს — მადა ხომ ჭამაში მოდის.

# ფრიადი ქვრები იაკეტიბაის ფერდობზე

მთის თხილამურობა

დასრულდა ტანჯული შეჯიბრი. დასრულდა მცირე მიწისძვრით. უცხოელებს გვარიანად შეუქანდათ გულები, მასპინძლებს კი წარბიც არ შეუხრიათ.

შეირყა იაკეტიბაის მთაზე განლაგებული სატელევიზიო ჯიხურები. სასტარტო ქოხიდან ამ დროს კომბინაციის ჩემპიონი, ავსტრიელი მარიო რაიტერი უნდა გამომხტარიყო. გამოხტა, მაგრამ ისეთი ბიძგი იგრძნო, რომ კარი გამორჩა, თუმც ამაზე ბევრი არ უწუწუნია.

მიწისძვრა გადატანითი მნიშვნელობითაც მოხდა. სლალომი დაშვება როდია, ვინმე ტყიური რომ გამოვარდეს, თავზე ხელი აიღოს და ოლიმპიური ჩემპიონი გახდეს. ამ უტექნიკურეს დისციპლინაში მხოლოდ დახვეწილი ათლეტები იმარჯვებენ.

ნორვეგიელი ჰანს-პეტერ ბურაასი თავის გუნდის უმრწემესი წევრია. 22 წლის მესალალომეს აქამდე შეჯიბრი არასოდეს მოეგო, მაგრამ ოლიმპიადის წინა ბოლო სლალომში, კიცბიუელში (ავსტრია) 26 იანვარს რომ გაიმართა, მხოლოდ მასპინძელ თომას სიკორას ჩამორჩა და ნაგანოსთვის იმედიანად განეწყო.

სიკორა სლალომის მსოფლიო თასის შარშანდელი მფლობელია, წელს კი ორ ეტაპზე გაიმარჯვა. I ცდის შემდეგ იგი ნაგანოშიც წინ იყო, მაგრამ II-ის სტარტზე ცალი ხელჯოხი საკუთარ ფეხთა შორის უშნოდ გაეხირა და იმდენი იზარალა, რომ ბრინჯაო ბოლოს დიდ წარმატებად მოეჩვენა.

ნორვეგიელებმა და ავსტრიელებმა შვიდი მოწინავე ადგილი დაიჭირეს. ლილეჰამერის ჩემპიონი, ავსტრიელი თომას შტანგასინგერი VI ადგილზე დარჩა, ნორვეგიელთა ვეტერანმა ოლეკრისტიან ფურუსეთმა კი, დიდ შეჯიბრებებზე აქამდე ოთჯერ რომ დაეჭირა IV ადგილი, ნავსი გატეხა და მედალი ირგუნა.

შტანგასინგერმა ნაშეჯიბრევს ბრძანა, ბურაასი ახალი თაობის ღირსეული წარმომადგენელიაო. იქნებ ეს ასეც იყოს, მაგრამ სპორტსმენ კაცს მაინცდამაინც ვერ უნდა შევენოდეს ნარინჯისფერწითლად შეღებილი თავი. თუმც ისიც თქმულა, გემოვნებაზე არ დაობენო.

კვლავ მარცხი შეემთხვა დიდ იტალიელ ალბერტო ტომბას. ლილეჰამერში პირველი ცდის შემდეგ იგი 184 მეასედს აგებდა ლიდერთან, მაგრამ იმდენი ივაჟკაცა, რომ ვერცხლის მედალს მაინც შეწვდა.

ის ამბავი ნორვეგიაში მოხდა, ახლა კი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და მეოთხე თამაშების მონაწილე ტომბა ასპარეზობდა იაპონიაში, ანუ იმ ქვეყანაში, სადაც არასოდეს მოუგია და ერთთვად ფათერაკები ემართება.

ალბერტომ ხუთშაბათს, გიგანტური სლალომის ტრასაზე 18 წამი გაძლო და დაეცა. ბებერს, სპორტიდან სეზონის ბოლოს ნაღდად რომ მიდის, გული ამის მერეც არ გატეხია და შაბათს მაინც დადგა სტარტზე, მაგრამ პირველი ცდის შემდეგ ოდენ მე-17 ადგილზე რომ იყო, ასპარეზს სასტუმროში განერიდა და მეორედ თავი აღარც შეუწუხებია.

**ირაკლი ნინუა**



„ლა ბომბა" არ აფეთქდა: ალბერტო ტომბამ პირველ ცდაზე რიგიანი შედეგი რომ ვერ გააზერხა, სიმწრით თოვლში ჩაჯდა

# ბრიტანეთმა მაინც შეიხვედრა

ოთხადგილიან ბობთა ჭიდილში, შაბათს რომ დასრულდა, ოქროს მედალი განთქმულმა გერმანულმა ეკიპაჟმა მოიგო, რომელსაც მესაჭედ კრისტოფ ლანგენი ჰყავს. მეორე ადგილი შვეიცარიელმა მერსელ როჰნერმა და მისმა მიმწოლებმა დაიჭირეს, მესამე კი ერთბაშად ორმა გუნდმა გაიყო.



გამარჯვებულ გერმანელთა ბოლო ცდა

ბრიტანელმა შონ ოლსონმა და ფრანგმა ბრუნო მინჟონმა იმგვარად იქრიალეს თავთავისი ხალხით, რომ მჯობნი ეგრეც ვერ გამოირკვა და დაწყვილებული ბრინჯაო არავის დანანებია.

ბრიტანელი ამბობდა: „ბრუნო ჩემი კარგი მეგობარია. თუკი ვინმესთან გავიყოფდი ჯილდოს, უპირველესად, მასთან."

და საერთოდაც, ოლსონი უბედნიერესი იყო! ხუმრობა ხომ არ არის? 1964 წლის შემდეგ ეს ბრიტანეთის პირველი ბობსლეური მედალია. მაშინ ტონი ნეშის ორკაციანმა ბობმა ივარგა. საერთოდაც, ოლსონისა და მისი გუნდის ჯილდო მხოლოდ მეათე ბრიტანული მედალია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამართულ 13 ზამთრის ოლიმპიადაში.

„სულაც არ მინდა, რომ ოდესმე ხელახლა გავიარო ჩემი ცხოვრების ეს 24 საათი — თქვა შონმა — მეორე ეტაპის შემდეგ ნირწამხდარნი ვიყავით, მაგრამ გული გავიმაგრეთ. ეს ჩემი ცხოვრების უდიდესი წუთია."

**ზურაბ ძალატოზიშვილი**

# გერმანულმა პრესამ მოყვარეს პირში უძრახა

ბიათლონი

გერმანელი ბიათლონისტებისგან ნაგანოში ყველა წარმატებებს ელოდა, ამიტომაც როდესაც ინდივიდუალური რბოლების შემდეგ წლევანდელი მსოფლიო თასის ლიდერი რიკო გროსი და მისი თანაგუნდელები საერთოდ უმედლოდ დარჩნენ, გერმანულმა პრესამ მათ კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა, რასაც, როგორც ეტყობა, უშედეგოდ არ ჩაუვლია: 27 წლის ჯარისკაცმა ამჯერად შესანიშნავი სტარტი აიღო და საწყისი ეტაპის შემდეგ თავისიანს ესტაფეტა პირველმა გადაულოცა. სანამ მათი მთავარი კონკურენტები — ნორვეგიელები ცუდი სროლით მიყენებულ ზარალს ანაზღაურებდნენ, გერმანიას მოულოდნელად ლატვია გაეჯიბრა და ერთი ხანობა ლიდერობაც კი იგდო ხელთ, მაგრამ სვენ ფიშერმა თავხედებს კუთვნილი ადგილი მიუჩინა და დისტანციის სამი მეოთხედის გავლის შემდეგ თავისიანებისგან ბოლოს — ფრანკ ლუკს წუთზე მეტი უპირატესობა მოუპოვა. ნორვეგიელები ბოლო ეტაპზეღა მოეგნენ გონს და 10 კილომეტრ დისტანციაზე ნაგანოს ოლიმპიურმა ჩემპიონმა — ეინარ ბიორნდალენმა ლიდერის დასაწევად თავგადადებული დევნა გააჩაღა, ორწუთნახევრიან დეფიციტს დიდი წილი მოაკლო კიდეც, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებულს 20 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილი ხვდათ რუსებს, სლავების კიდევ ერთი წარმომადგენელი — ბელარუსი კი მეოთხე ადგილზე გავიდა. „ოლიმპიადებზე ყველა ძალზე დიდ ზეწოლას განიცდის, ჩვენ კი, დამატებით, პრესის კრიტიკაც არ მოგვკლებია, ასე რომ, ეს ოქრო ორმაგად სასიამოვნო გახლდათ" — განაცხადა ლუკმა. გერმანელებს 1988 წლის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის გუნდთან დამარცხების შემდეგ თურმე ზედიზედ მესამედ მოუგიათ.

ქვარცხლბეკი

## მედალოსნები და სხვებიც

### მთის თხილამურობა

ვაჟები. სლალომი. 21 თებერვალი

1. ჰანს-პეტერ ბურაასი (ნორვეგია) 1 წთ. 49,31 წმ (I ცდა 55,28 — II ცდა 54,03)
2. ოლე-კრისტიან ფურუსეთი (ნორვეგია) 1.50,64 (55,53 - 55,11)
3. თომას სიკორა (ავსტრია) 1.50,68 (55,06 - 55,62)
4. ტომ სტიანსენი (ნორვეგია) 1.50,90; 5. კრისტიან მაიერი (ავსტრია) .51,09; 6. თომას შტანგასინგერი (ავსტრია) ,25; 7. ფინ-კრისტიან იაგე (ნორვეგია) ,39; 8. ჟოელ შენალი (საფრანგეთი) ,51; 9. კალე პალანდერი (ფინეთი) ,81; 10. პიერიკ ბურჟა (საფრანგეთი) ,82 ...

19. მიხაელ ფონგრუნიგენი (შვეიცარია) .54,96; ...

27. არსენ ჰარუთიუნიანი (სომხეთი) 2.15,11; 28. ქარიმ ურუმბაევი (უზბეკეთი) .18,85; 29. არიფ ალათარლილი (თურქეთი) .25,09; 30. ჰასან შემშაქი (ირანი) .26,99; 31 (ბოლო). უილიამ შენკერი (პუერტო-რიკო) .28,88

ლევან აბრამიშვილმა (საქართველო) I ცდა ვერ ჩაამთავრა

ალბერტო ტომბა (იტალია) II ცდაზე აღარ დაეშვა

### ბარის თხილამურობა

ვაჟები. 50 კმ. თავისუფალი სტილით. 22 თებერვალი

1. ბიორნ დელი (ნორვეგია) 2 სთ: 05 წთ. 08,2 წმ
2. ნიკლას იონსონი (შვედეთი) ჩამორჩა 8,1 წმ-ით
3. კრისტიან ჰოფმანი (ავსტრია) 53,6
4. ალექსეი პროკუროროვი (რუსეთი) 1.33,3; 5. ფულვიო ვალბუზა (იტალია) 1.36,1; 6. თომას ალსგორდი (ნორვეგია) 2.13,3; 7. იოჰან მულეგი (გერმანია) 2.17,1; 8. ვლადიმირ სმირნოვი (ყაზახეთი) 2.18,2; 9. მაურიციო პოცი (იტალია) 3.05,0; 10. სილვიო ფაუნერი (იტალია) 3.36,1

### შორტ-ტრეკი

ქალები. 1000 მ. 21 თებერვალი

1. ჩუნ ლი-კიუნი (კორეა)
2. იანგ იანგი (ჩინეთი)
3. ვონ ჰიე-კიუნგი (კორეა)
4. ემი პეტერსონი (აშშ); 5. იკე ტეშიგავარა (კორეა); 6. კიმ იუნ-მი (კორეა); 7. იზაბელ შარე (კანადა)

ვაჟები. 500 მ. 19-21 თებერვალი

1. ტაკაფუმი ნიშიტანი (იაპონია)
2. ან იულონგი (ჩინეთი)
3. ჰიტოში უემაცუ (იაპონია)
4. მარკ განიონი (კანადა); 5. ჩა იი-ჰონი (კორეა); 6. დეივ ფ.რსტეჰი (ჰოლანდია); 7. ენდი გეიბლი (აშშ); 8. კიმ დონგ-სუნგი (კორეა)

ვაჟები. 5000 მ ამანათბრენი. 19-21 თებერვალი

1. კანადა (ერიკ ბერარი, დერიკ კემბელი, ფრანსუა დროლე, მარკ განიონი)
2. კორეა
3. ჩინეთი
4. იტალია; 5. იაპონია; 6. აშშ; 7. ბრიტანეთი; 8. ავსტრალია

### ბობსლეი

ოთხადგილა. 20-21 თებერვალი

1. გერმანია II (კრისტოფ ლანგენი, მარკუს ციმერმანი, მარკო იაკობსი, ოლაფ ჰამპელი) 2 წთ. 39,41 წმ (ცდები: 52,70 - 52,90 - 53,81)
2. შვეიცარია I (მარსელ რონერი, მარკუს ნიუსლი, მარკუს ვასერი, ბიტ ზაიტცი) 2.40,01 (53,13 - 53,15 - 53,73)

3 (საზიაროდ). ბრიტანეთი I (შონ ოლსონი, დინ უორდი, კორტნი რუმბოლდტი, პოლ ეტვუდი) (53,77 - 53,58 - 53,71) და საფრანგეთი I (ბრიუნო მინჟონი, ემანუელ ოსტაში, ერიკ ლე-შანონი, მაკს რობერი) (53,13 - 53,30 - 53,63) 2.40,06

5. აშშ I 2.40,08; 6. ლატვია I ,26; 7. შვეიცარია II ,28; 8. გერმანია I ,32; 9 (საზიაროდ). კანადა I და ავსტრია I ,39 ...

31. საბერძნეთი I (გრეგ ზებალდი, ანასტასიოს პაპაკონსტანტინუ, პეტერ კოლოტუროსი, ჯონ-ენდრიუ კამბანისი) 2.49,76; 32 (ბოლო). პუერტო-რიკო I (ლისტონ ბოჩეტი, ხორხე ბონე, ხოსე ფერერი, ჟოზეფ კეოსიანი) 2.49,76

### ბიათლონი

ვაჟები. 4 X 7,5 კმ ამანათრბენი. 21 თებერვალი

1. გერმანია (რიკო გროსი, პეტერ ზენდელი, სვენ ფიშერი, ფრანკ ლუკი) 1:21.36,2
2. ნორვეგია (ეგილ ხელანდი, ჰალვარდ ჰანევოლდი, დაგ ბიორნდალენი, ოლე ბიორნდალენი) ჩამორჩა 20,1-ით
3. რუსეთი (პაველ მუსლიმოვი, ვლადიმირ დრაჩოვი, სერგეი ტარასოვი, ვიქტორ მაიგუროვი) 43,1
4. ბელარუსი 1.37,8

## ჰოკეი

22 თებერვალი.

**ფინალი**

**ჩეხეთი — რუსეთი 1:0**
**(0:0, 0:0, 1:0)**

**შაიბა: სვობოდა 1 (პატერა, მ. პროჰაზკა 49) (1:0)**



ნაგანოში ამაყად აფრიალდა ჩეხეთის დროშა

# ჩეხებმა რუსული კედელი გაანგრიეს

მიხეილ შტალენკოვი მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთხელ შეცდა, მაგრამ ეს შეცდომა მის გუნდს ძალიან ძვირად დაუჯდა. 49-ე წუთზე ჩეხთა მცველმა პეტრ სვობოდამ მოედნის შუაგულში პარტნიორის პასი მიიღო და მოულოდნელად დაარტყა, რამაც რუსეთის ნაკრების მეკარე გააოგნა. ჩეხები დაწინაურდნენ, ეს შაიბა კი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ დაძაბულ მატჩში, შემთხვევითი კი არა, ახალი ოლიმპიური ჩემპიონების უპირატესობის ლოგიკური შედეგი გახლდათ.

უკვე არაერთი წელია, ჩეხეთის ნაკრები დიდ საერთაშორისო ტურნირებზე ასპარეზობს, მაგრამ ახლა ეს გუნდი სრულიად სხვაა. მოგეხსენებათ, ჩეხების მთავარი კოზირი მუდამ საიმედო დაცვა და სწრაფი კონტრშეტევები იყო და მათთან თამაშისას ნებისმიერ მეტოქეს თავისუფლად შეეძლო, თავისი კარის მისადგომებიდან მოედნის შუაგულამდე მშვიდად გაეკონტროლებინა შაიბა. აი, ჩინებულად აწყობილი ჩეხური დაცვის ძლევა კი არცთუ იოლი საქმე იყო. ახლა კი ევროპელებმა თავიანთ ნაკრებზე ყოველგვარი წარმოდგენა ქარს გაატანეს. ასეთი მიზანმიმართულნი, აქტიურნი, მეტოქის კარზე დაგეშილნი ჩეხები არასდროს ყოფილან. ჯერ კიდევ პირველ პერიოდში, როცა ორივე გუნდი სრული ძალით თამაშობდა და მოვლენები საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა, ისინი აჰყვნენ რუსებს და მათი არც ერთი შეტევა არ დატოვეს უპასუხოდ. უნდა ითქვას, რომ ყოფილმა საბჭოელებმა, რომელთა ნჰლ-ელებმაც ბევრი რამ ისწავლეს თავიანთი ოკეანისგაღმელი კოლეგებისგან, მეტად მკაცრი და ძალისმიერი ჰოკეი შესთავაზეს მეტოქეს. მაგალითად, ერთი-ორჯერ კასპარაიტისი და ჟიტნიკი იაგრს ეუხეშნენ, ის კი არა, ზოგჯერ რუსები ყოველგვარ ზღვარს გადადიოდნენ, მაგრამ, ალბათ, პირველად მოხდა, რომ მსაჯმა „საბჭოელთა" მხარე დაიჭირა და უხეშობაზე



მცველი პროჰაზკა მხნელ ჰაშეკს ჩაეხუტა

თვალი დახუჭა. და მაინც, ჩეხების შეტევები უფრო მწვავე იყო, განსაკუთრებით ბერანეკი და დოპიტა აქტიურობდნენ. მეორე პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ თამაშის ტემპმა ოდნავ იკლო, ხელსაყრელი მომენტები გაცილებით ხშირად იქმნებოდა. ერთ-ერთ შეტევაში იაგრის სამეულმა სამი სახიფათო დარტყმა განახორციელა, მაგრამ საუცხოოდ ითამაშა შტალენკოვმა. ამას რუსებმა მხოლოდ ორი მომენტით უპასუხეს, განსაკუთრებით კოვალენკო იყო ახლოს მიზანთან, მაგრამ ჰაშეკს, ფაქტობრივად, ერთადერთხელ მოუხდა თავისი ოსტატობის გამოვლენა. ასე რომ, ჩეხებს უფრო მეტი შანსი ჰქონდათ, თანაც გასათვალისწინებელია, რომ მსაჯის წყალობით ისინი რამდენჯერმე უმცირესობაში აღმოჩნდნენ. პატერა და კუჩერა მეტად სახიფათოდ უტევდნენ, რუსებმა კი, რომელთათვისაც რიცხვმრავლობა აქილევსის ქუსლად იქცა ამ ტურნირზე, ვერაფრით ააწყვეს თამაში.

მეორე შესვენების დროს ბევრი ვარაუდობდა, რომ რუსები გააქტიურდებოდნენ და მეტოქეს თავისას მიუზღავდნენ, რისი მაგალითიც მათ უკვე აჩვენეს ოლიმპიადაზე. ვარაუდი ვარაუდად დარჩა — მესამე პერიოდში ჩეხები სულ გათავხედდნენ, შაიბა საერთოდ აღარ ტოვებდა შტალენკოვის ზონას და რუსები მხოლოდ მის გადაგდებაზე ფიქრობდნენ. საბოლოოდ, რამდენიმე ასპროცენტიანი შესაძლებლობის ხელიდან გაშვების შემდეგ, ჩეხებმა, როგორც იქნა, გაიტანეს.

მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დამთავრებამდე თითქმის 12 წუთი რჩებოდა, ყოფილმა საბჭოელებმა ვერც ერთი აზრიანი შეტევა ვერ განახორციელეს, ის კი არა, მეტოქის ზონაში დამკვიდრებაც ვერ შეძლეს.

ასე რომ, ოთხი ოლიმპიური ვერცხლის შემდეგ ჩეხებმა, როგორც იქნა, გაუსწრეს თავიანთ ყველაზე პრინციპულ მეტოქეს — რუსებს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აღზევდნენ.

გამარჯვებულთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მთავარმა ტრიუმფატორმა, „დომინატორმა" ჰაშეკმა თავისი აღკაზმულობა ჰაერში ისროლა და წამის შემდეგ თანაგუნდელთა მკლავებში მოექცა. გადამწყვეტი გოლის ავტორი პეტრ სვობოდა თავის აღტაცებას ვერ მალავდა: „ეს უდიდესი მოვლენაა ჩემს ცხოვრებაში. ასეთი გრძნობა არასოდეს მქონია. ჩვენი ჰაშეკი უძლიერესია იმ მეკარეთა შორის, რომლებიც მინახავს". სვობოდას გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი სლავომირ ლენერიც შეუერთდა: „ჩვენი გამარჯვება საუცხოო გუნდურმა ურთიერთქმედებამ და „დომინატორმა" განაპირობეს". თავად ჰაშეკი კი ერთობ მოკრძალებული იყო და თავისი ღვაწლი ასე შეაფასა: „ჩემი საქმე ის გახლავთ, პარტნიორთა მიერ გატანილზე ნაკლები გავუშვა. დღეს ჩვენებმა ერთი გოლი გაახერხეს, ასე რომ, მე „მშრალი" თამაში მმართებდა".

რუსთა თავკაცის ვლადიმერ იურზინოვის აზრით კი, ჰაშეკის ფენომენი არა მარტო მის ოსტატურ თამაშში მდგომარეობს, არამედ იმ ფსიქოლოგიურ გავლენაში, რომელსაც ის მეტოქეებზე ახდენს.

### ოლიმპიადის ჩემპიონები და პრიზიორები:

**ჩეხეთი**: დომინიკ ჰაშეკი, რომან ჩეხმანეკი, მილან ჰნილიჩკა; ირჟი შლეგრი (1 გოლი+0 პასი) — რიხარდ შმეჰლიკი (0+1), რომან ჰამრლიკი (1+0) — პეტრ სვობოდა (1+1), ფრანტიშეკ კუჩერა — იაროსლავ შპაჩეკი, ლიბორ პროჰაზკა; იარომირ იაგრი (1+4) — ვლადიმერ რუჟიჩკა (3+0) — მარტინ სტრაკა (1+2), მარტინ რუჩინსკი (3+1) — რობერტ რაიჰელი (2+0) — რობერტ ლანგი (0+3), იოზეფ ბერანეკი (1+0) — ირჟი დოპიტა (1+2) — დავიდ მორავეცი (0+1), მარტინ პროჰაზკა (1+1) — პაველ პატერა (2+3) — მილან ჰეიდუკი, იან კალოუნი.

**რუსეთი**: მიხაილ შტალენკოვი, ანდრეი ტრეფილოვი, ოლეგ შევცოვი; დმიტრი მირონოვი (0+3) — ალექსეი გუსაროვი (0+1), ბორის მირონოვი (0+1) — დარიუს კასპარაიტისი (0+2), იგორ კრავჩუკი (0+2) — სერგეი გონჩარი (0+2), ალექსეი ჟიტნიკი (0+2) — დმიტრი იუშკევიჩი; პაველ ბურე (9+0) — ალექსეი ჟამნოვი (2+1) — ვალერი კამენსკი (1+2), ანდრეი კოვალენკო (4+1) — ალექსეი იაშინი (3+3) — სერგეი ფიოდოროვი (1+5), ვალერი ბურე (1+0) — სერგეი ნემჩინოვი (1+0) — სერგეი კრივოკრასოვი, ალექსეი მოროზოვი (2+2) — გერმან ტიტოვი (1+0) — ვალერი ზელეპუკინი (1+2)

**ფინეთი**: იარმო მიულისი, არი სულანდერი, იუჰა ტამი; იანე ნიინიმაა (0+3) — ტეპო ნუმინენი (1+0), იურკი ლუმე (1+0) — აკი-პეტერი ბერგი, კიმო ტიმონენი (0+1), იანე ლაუკანენი — ტუომას გრონმანი; ტეემუ სელიანე (4+6) — საკუ კოივუ (2+8) — იერე ლეჰტინენი (4+2), ესა ტიკანენი (1+1) — იარი კური (1+4) — მიკა ნიემინენი (1+2), სამი კაპანენი (0+1) — რაიმო ჰელმინენი (2+0) — ვილე პელტონენი (2+1), იუპა ლინდი (0+1) — იუპა ილონენი — ანტი ტორმანენი, კიმო რინტინენი (1+0)

### ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები

დომინიკ ჰაშეკი (ჩეხეთი) — პეტრ სვობოდა (ჩეხეთი) — ტეემუ სელიანე (ფინეთი)

### სიმბოლური ნაკრები

დომინიკ ჰაშეკი (ჩეხეთი); პეტრ სვობოდა (ჩეხეთი) — დარიუს კასპარაიტისი (რუსეთი); პაველ ბურე (რუსეთი) — იარომირ იაგრი (ჩეხეთი) — ტეემუ სელიანე (ფინეთი)

**ბომბარდირები**: სელიანე 10 (4+6), კოივუ (ორივე — ფინეთი) 10(2+8), პ. ბურე (რუსეთი) 9(9+0), ა. კორეშკოვი (ყაზახეთი) 9(3+6), ბოზონი (საფრანგეთი) 7(5+2), ლავუა (ავსტრია) 6(5+1), ლეჰტინენი (ფინეთი) 6(4+2), იაშინი (რუსეთი) და შაფრანოვი (ყაზახეთი) 6(3+3), პუდრიე (საფრანგეთი) 6(2+4), ფიოდოროვი (რუსეთი) 6(1+5)

**სნაიპერები**: პ. ბურე 9, ლავუა და ბოზონი 5, კოვალენკო (რუსეთი), პლავუხა (სლოვაკეთი), ლეჰტინენი და სელიანე 4

**საუკეთესო სამეულები**: პ. ბურე — ჟამნოვი — კამენსკი (რუსეთი) 12 გოლი (9+2+1), ლეჰტინენი — კოივუ — სელიანე (ფინეთი) 10(4+2+4), შაფრანოვი — ა. კორეშკოვი — ე. კორეშკოვი (ყაზახეთი) 9(3+3+3), კოვალენკო — იაშინი— ფიოდოროვი (რუსეთი) 8(4+3+1), ბოზონი — პუჟე — ბრიანი 7(5+1+1)

**მეკარეები**: ჰაშეკი (ჩეხეთი) 1,00 გაშვებული გოლი საშუალოდ ერთ მატჩში; რუა (კანადა) 1,33; შტალენკოვი (რუსეთი) 1,80; სულანდერი (ფინეთი) 2,00

**სამველ ლარიბიანი**

# შეაჭკნა ნეკერჩხალს ფოთლები?

21 თებერვალი.

მატჩი მე-3 ადგილისთვის

**კანადა 2:3 ფინეთი**
**(1:2, 1:0, 0:1)**

**შაიბები: კური 1 (ნიემინენი, ტიკანენი, 4) (0:1), ბრინდამორი 1 (ფუტი, 17) (1:1), ლეჰტინენი 4 (კოივუ, 18) (1:2), შენაჰანი 2 (გრეცკი, რეჩი, 23) (2:2), პელტონენი (კოივუ, 41) (2:3)**

დიდი უეინის ოცნება — ოლიმპიური მედალი — ოცნებადვე დარჩა. კანადის ნაკრები ბრინჯაოსაც გამოემშვიდობა.

ამ ურთულესი ორთაბრძოლის ბედი გარკვეულწილად მეტოქეთა განწყობამაც განაპირობა. სკანდინაველები უფრო მიელტვოდნენ წარმატებას, აკი განაცხადა კიდეც ფინელთა მწვრთნელმა ჰანუ არავირტამ ტურნირის დაწყებამდე, ჩვენთვის ნებისმიერი საპრიზო ადგილი უდიდესი მიღწევა იქნებაო. რაც შეეხებათ კანადელებს, მათ, ცხადია, ნაგანოში მხოლოდ პირველობა სურდათ და ჩეხებთან გულდასაწყვეტი მარცხის შემდეგ მათი ინერტულობა სრულიად გასაგები გახლდათ. ამიტომაც იყო, მატჩის დასაწყისში კანადელთა სიმშვიდით შეგულიანებულმა სკანდინაველებმა პირველივე წუთებიდან რომ შეუტიეს. ყოველივე ეს იმით დასრულდა, რომ ვეტერანმა იარი კურიმ ნიემინენის პასით ისარგებლა და თავისიანთა უპირატესობა ანგარიშში ასახა. თუმცა, კანადელები რის კანადელები იქნებოდნენ, თუნდაც ასეთ პირობებში მეტოქისთვის რაიმე დაეთმოთ და თანდათან გააქტიურდნენ კიდეც. მათ, პირველად ამ ტურნირზე, ჩვეულ სტილს, ეგრეთ წოდებულ „ფორჩეკინგს" მიმართეს და ფინელები პრესინგითა და მთელ მოედანზე ძალისმიერი თამაშით შებოჭეს. მეტად აქტიურობდა გრეცკი, რომელმაც ამჯერად ცენტრში ითამაშა და მას ლინდროსმაც აუბა მხარი. სიტყვამ მოიტანა და, ფილადელფიელი ჰოკეისტის ასპარეზობა კანადელთათვის ერთობ უსიამოვნო სიურპრიზი გამოდგა. მან მხოლოდ უხეშობით დაამახსოვრა თავი ნაგანოელ მაყურებელს და ახლაცა, ფინელებთან შეხვედრაში გაისარჯა აზრიანად. სწორედ ლინდროსის მიერ წამოწყებული შეტევის შემდეგ გაიტანეს „ნეკერჩხლის ფოთლებმა" პირველი გოლი, თუმცა, „სუომის" მეკარის არი სულანდერის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ბრინდამორის ზუსტ დარტყმამდე მან ორჯერ იხსნა თავისი გუნდი. საერთოდ, ფინელთა კარის დარაჯი, რომელმაც რუსებთან მეტად უსუსურად მოთამაშე მიულისი შეცვალა, ძალიან საიმედოდ გამოიყურებოდა, რასაც ვერ ვიტყვით მის კოლეგაზე სახელოვან პატრიკ რუაზე. კოლორადოელმა ყველა წინა მატჩი საუცხოოდ ჩაატარა და მაინცდამაინც ახლა ვერ ივარგა — მეორე და მესამე გაშვებულ შაიბებში მთლიანად მას მიუძღვის ბრალი.

ისიც უნდა ითქვას, რომ, სოლიდური ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, კანადელებმა ვერ შეძლეს საკუ კოივუს შესანიშნავი სამეულის განეიტრალება, არადა, სკანდინაველთა მთავარი ძალა თავდასხმაში — ტეემუ სელიანე ისვენებდა და მწვრთნელებმა ლეჰტინენსა და კოივუს მათი ძველი პარტნიორი პელტონენი (ჯერ კიდევ 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ ტრიომ ლომის წილი დაიდო ფინელთა გამარჯვებაში) შეუამხანაგეს. მეტად სასეირო სანახავი იყო, თუ როგორ ვერ უმკლავდებოდნენ ბრგე კანადელები ტანმორჩილ ფინელებს. კოივუმ ორივე კომბინაციაში ზუსტი პასები მიაწოდა თავის პარტნიორებს, კიდევ რამდენჯერმე კი „ნეკერჩხლის ფოთლები" ბეწვზე გადარჩნენ. აღსანიშნავია, რომ სკანდინაველებმა ჩინებულად გამოიყენეს რიცხვმრავლობა (30 პროცენტზე მეტი). ამჯერადაც „სუომიმ" სამი გოლიდან ორი რიცხობრივი უპირატესობის დროს გაახერხა. კანადელთა ზეწოლა კვლავ გაგრძელდა, მათ კვლავაც გაათანაბრეს ანგარიში (გრეცკის მშვენიერი პასის წყალობით), მაგრამ მეტი ვეღარაფერი მოახერხეს. თანაც მესამე პერიოდის მიწურულს „ნეკერჩხლის ფოთლები" მცველმა პრონგერმა დაალალატა, რომელმაც სრულიად უწყინარ სიტუაციაში ორწუთიანი ჯარიმა დაიმსახურა და მის პარტნიორებსაც საბოლოო შტურმის მოწყობა არ დასცალდათ.



ნაგანო: უეინ გრეცკის ოცნებების სასაფლაო

## ჭკვიანი ჰლინკა პასპორტის რიგში

ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩეხების მწვრთნელი ივან ჰლინკა ნამდვილად შორსმჭვრეტელი ყოფილა. გუნდის თავკაცმა დროულად დააპირა დაცვის გამაგრება და თავისი საიმედოობით ცნობილი ფილადელფიელი პეტრ სვობოდას მიწვევა ისურვა, მაგრამ ეს არცთუ იოლი გახლდათ: სვობოდამ ჯერ კიდევ 1984 წელს დატოვა სამშობლო და ოკეანისგაღმა გადავიდა, სადაც ოჯახი შექმნა, კანადის მოქალაქეობაც მიიღო და ჩეხეთის ნაკრებში თამაშის უფლებაც ჩამოერთვა. ჰლინკა არ გატყდა — თავისი ძვირფასი დრო არ დაიშურა და იანვარში საპასპორტო ოფისთან რიგში არაერთი საათით დგომაც არ დაიზარა. საბოლოოდ, სვობოდას მოქალაქეობასთან დაკავშირებული პრობლემა მოგვარდა, 32 წლის ვეტერანმა საგრძნობლად გააუმჯობესა გუნდის დაცვა და, რაც მთავარია, ფინალურ მატჩში გადამწყვეტი შაიბა გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ეს მცველის პირველი გოლი იყო ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

## სკამებსლა მოერივნენ

აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის ცნობით, ჩეხეთის ნაკრებთან დამარცხებით გამწარებულმა ამერიკელებმა სასტუმროში დებოში მოაწყვეს და თავიანთ ოთახებში ყველაფერი მილეწ-მოლეწეს. კონკრეტულ დამნაშავეთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. ნჰლ-ის ხელმძღვანელობა უმალ გამოეხმაურა ამ ფაქტს. როგორც ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა თქვა, თუ დამტკიცდება მავან ჰოკეისტთა დანაშაული, მათ სასტიკად დასჯიან. ამ სასჯელის შესახებ ბეტმენს არაფერი უთქვამს, ისე კი, ნათელია — პროფესიონალებმა ლიგის პრესტიჟი შელახეს, მიუხედავად იმისა, რომ აქამდე სანიმუშოდ იქცეოდნენ. ბეტმენისვე თქმით, როცა ლიგა ჰოკეისტებს ოლიმპიადაზე გზავნიდა, პასუხისმგებლობა მათ გამო აშშ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა იკისრა და გარკვეულწილად იგიც არის დამნაშავე.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის ნაკრები ოლიმპიადის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა. როგორც ჩანს, ამიტომაც აღიქვა ასე მტკივნეულად გუნდის ზოგიერთმა წევრმა ნაგანოური წარუმატებლობა.



# გიო ქინქლაძე: ახლა ნამდვილად მივდივარ!

როგორც იქნა ამოშაქრა „მანჩესტერ სიტის“ თავკაცობამ, ქინქლაძე წასვლას თუ ისურვებს არ დავაკავებთო. ეს იყო და, გიოს მსურველი გუნდები დაფაცურდნენ.

— ერთ კვირაში ყველაფერს შეიტყობთ. ჯერჯერობით ახალი ამბები კი არის, მაგრამ კონკრეტულად რა გითხრათ, არც ვიცი. ერთი ფაქტია — „სიტიში“ აღარ გავჩერდები. ამის თაობაზე ჯო როილთან უკვე ვისაუბრე, მითხრა, ხელს არ შეგიშლიო. ლიც თანახმაა. ასე რომ, დღეის სწორს იმ კლუბის ვინაობაც მეცოდინება, რომელშიც თამაშს გავაგრძელებ. თქვენთან, „სარბიელში“ ეწერა, „ლივერპული“, „ევერტონი“, „ტოტენჰემი“ ეპატიჟებიანო, მართალია, ესენიც და სხვაც ბევრი ლამობს ჩემს გადაყვანას. ფულსაც არ იშურებენ, მაგრამ ჯერ ვერ გადავწყვიტე, რომელი ვარიანტი ვირჩიო. რაც შეეხება „სვინდონთან“ ჩემსა და შელიას შეცვლას, ნუ იფიქრებთ, თითქოს როილთან ურთიერთობა დამეძაბა, უბრალოდ, ორივეს ფეხი გვტკიოდა, მწვრთნელმაც ამიტომ გამოგვცვალა. ცხადაძე კი კარგადაა, ძირითადში ადგილი უკვე დაიმკვიდრა, „სიტიდან“ წასვლას არ აპირებს, ისევე როგორც შელია.

წუხელ მანჩესტერში გიორგი ქინქლაძეს რომ დავურეკეთ, სწორედ მაშინ გვითხრა ყველაფერი ის, რაც აქამდე წაიკითხეთ. დამშვიდობებისას ესაც დაამატა, მართალია, დაზუსტებით არაფერი მითქვამს, მაგრამ მერწმუნეთ, ახალი კლუბის სახელი არც ვიცი. ერთი კვირა კიდევ მოიცადეთ, მაშინ, ალბათ, ყველაფერი ნათელი იქნება. ყოველ შემთხვევაში, „სიტიდან“ რომ მივდივარ, ეს ნაღდიაო.

ქინქლაძესთან ლაპარაკი აღარ გაგვიგრძელებია. სადაც ამდენი, ერთ კვირასაც როგორმე მოვიცადით. დანარჩენიც მაშინ იყოს.

**კობა ინასარიძე**

## ბათუმის თურქული ვოიაჟი

საქართველოს ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი, ჯერჯერობით მეორე ადგილზე მყოფი „ბათუმი“, მეზობელ თურქეთშია მოსამზადებლად. ბათუმელებმა, რომლებიც ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩებიან, რამდენიმე ამხანაგური მატჩი ჩაატარეს. პირველად „ჩერუმსფორთან“ ფრედ 1:1 ითამაშეს, შემდეგ „გერასუნსფორთან“ იმარჯვეს 2:1, მესამედ კი „ანთიავასფორი“ გაამწარეს 3:1. აჭარელებს თავიდან ფაცაში დაუწყიათ მზადება, ხოლო ერთი კვირის შემდეგ ჩერუმში გაუგრძელებიათ.

როგორც შევიტყვეთ, ყველა ფეხბურთელი ჯანზეა, მეორე წრის დაწყებას ოპტიმისტურად უყურებენ და ჩემპიონობასაც უმიზნებენ, თუ ბელგიაში გასასინჯად წასულ გელა შეყილაძეს არ ჩავთვლით, გუნდი ჯერ არავის დაუტოვებია. ახალწვეულებზე აქამდეც მოგახსენეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს რუსთაველ მინდიაშვილზე, რომელიც „ბათუმთან“ ერთად თურქული ვოიაჟის მონაწილეა. რაც შეეხება შეყილაძის ახალ გუნდს, იგი ჯერჯერობით უცნობია. ბათუმელები თურქეთიდან 28-ში დაბრუნდებიან.

# ორი მეორეზე და ორით ადრე

## ინგლისი

XXVII ტური

**არსენალი 1:0 კრ. პალასი**
1:0 გრიმანდი (49)

**ბოლტონი 1:1 ვესტ ჰემი**
0:1 სინკლერი (65), 1:1 ბლეიკი (86)

**ქოვენთრი 1:0 ბარნსლი**
1:0 დაბლინი (89)

**ლესტერი 2:0 ჩელსი**
1:0, 2:0 ჰესკი (3, 89)

**მანჩესტერი 2:0 დერბი**
1:0 გიგზი (18), 2:0 ირვინი (70)

**შეფილდი 1:0 ტოტენჰემი**
1:0 დი კანიო (33)

**საუთჰემპტონი 3:0 ბლექბერნი**
1:0 ოსტენსტადი (19), 2:0 ჰერსტი (78), 3:0 ოსტენსტადი (88)

**უიმბლდონი 2:1 ასტონ ვილა**
1:0 იუელი (10), 2:0 ლიბერნი (39), 2:1 მილოშევიჩი (41)

**ნიუკასლი 1:1 ლიდსი**
0:1 უოლესი (82), 1:1 ქეცბაია (87)

**ლივერპული — ევერტონი**
დღეს გაიმართება

რაც დრო გადის, მით უფრო ცოტა დრო რჩება ინგლისის ჩემპიონატის დასასრულამდე, ეს კი ვითარებას სულ უფრო ძაბავს. გუშინ და გუშინწინ გათამაშებულმა მორიგმა ტურმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ წისქვილზე დაასხა წყალი, თუმცა, თუ მოხდა და „ლივერპულმა“ დღეს თანაქალაქელი მეტოქე დაამარცხა, პირველობის ლიდერსა და მდევარს შორის სხვაობა კვლავ შემცირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მანჩესტერელები სულ ცოტა, ორი ტურით მაინც შეინარჩუნებენ ლიდერობას უპრობლემოდ, ეს კი, ცხადია, მათ ბოლო ექვს სეზონში ჩემპიონობის მეხუთედ მოპოვებას გაუადვილებს.

შაბათს „ოლდ ტრეფორდზე“ ალექს ფერგიუსონის ალისფერი გუნდი საკმაოდ უცნაურ „დერბი ქაუნთის“ მასპინძლობდა. სტუმართა უცნაურობა კი იმაში გამოიხატება, რომ მათი მონაწილეობით მატჩის შედეგის წინასწარ განსაზღვრა, მეტოქის გათვალისწინებითაც, ძალიან ძნელია. ამ სეზონში „დერბიმ“ თითქმის ყველა ლიდერის გამწარება მოასწრო, მანჩესტერელებსაც იგივეს უპირებდა, მაგრამ „იუნაიტედმა“ სტუმართა ზეობა არ დაუშვა, ძლიერად ითამაშა და დამსახურებულადაც იმარჯვა. ლიდერთა რისხვად ქცეული „დერბი“, რომლის სახიფათო კონტრშეტევებსაც გულშემატკივარი გულგრილი ნამდვილად არ დაუტოვებია, მასპინძელთა დამწუხრებას ამჯერადაც ეცადა, მაგრამ მანჩესტერელთა ახოვანი მცველების ძალისხმევით დამხვდურთ ვერაფერი დააკლო, თავად კი ორჯერ მოუწია თამაშის ცენტრიდან განახლება.

უელსელი რაიან გიგზი, კარგა ხანია, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ღირსებას იცავს და ამ ხნის განმავლობაში გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა. მიუხედავად ამისა, მას არასტაბილურობაც ახასიათებს — ხან თვეების განმავლობაში არ მისდის თამაში, ხანაც მარტო იგებს მატჩებს. ამჯერად უელსელი ნახევარმცველი „დერბის“ მცველთათვის და საერთოდ, მეტოქის ყველა მოთამაშისთვის შეუჩერებელი გამოდგა და ჩვეულად გაილაღა, თუმცა სიხარული არ დასცალდა: მას შემდეგ, რაც ოლდ ტრეფორდელებს გამარჯვება განაპირობა, მძიმე ტრავმა მიიღო. მეორე ტაიმის მიწურულს სტუმრებმა, სხვა რომ ვერაფერი მოახერხეს, უელსელი ძალით შეაჩერეს და გიგზს ფეხის კუნთი გაუწყდა. კლუბის ექიმების პირველადი დასკვნით, რაიანი რამდენიმე კვირით ვეღარ ითამაშებს და, შესაძლოა, 4 მარტს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველი მატჩი „მონაკოსთან“ გამოტოვოს.

ზემოთ ვთქვით, გიგზი მანჩესტერელთა გამარჯვების სულისჩამდგმელი იყოო და ნამდვილად ასე გახლდათ — ფეხბურთელმა, გარდა იმისა, რომ თავად გახსნა ანგარიში, პენალტიც დასტყუა სტუმრებს: საჯარიმოში შეჭრილმა როი დელაპს თავგზა აუბნია, მცველმა კი სარმა გამოსდო. მასპინძელთა ვეტერანმა მცველმა დენის ირვინმა პენალტი ზუსტად დაარტყა. ორბურთიანი სხვაობა მატჩის დასასრულამდე ოცი წუთით ადრე მართლაც რომ კარგი უპირატესობაა. ანგარიში არც მერე შეცვლილა, მასპინძლებმა მორიგი სამი ქულა მოიპოვეს და ლიდერობა უფრო განიმტკიცეს. ალექს ფერგიუსონი ერთობ კმაყოფილი გახლდათ:



დალგლიშმა ჩვეულებისამებრ ბოლო წუთებში ათამაშა ქეცბაია და თემურმაც კვლავ იხსნა „ნიუკასლი“

— მეტად მოხარული ვარ. სამი ქულა დღესდღეობით ჩვენთვის ძალიან საჭიროა. ჩემპიონობის დასასრულამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. მართალია, საკმაო სხვაობით ვლიდერობთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩემპიონობა გავინაღდეთ. გადამეტებულმა თვითრწმენამ დაღუპვა იცის. დარწმუნებული ვარ, გააფთრებით ვიბრძოლებთ და სანამ ჩვენ პირველობას ოფიციალურად არ გავაფორმებთ, მანამდე არ მოვეშვებით.

როგორ ასრულდება ბებერი შოტლანდიელის სიტყვები, დრო გვიჩვენებს, დღესდღეობით კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მანჩესტერელები უპირატესობას იოლად არ გაფლანგავენ. პირიქით, პირველობის დასასრულის მოახლოებასთან მას სულ უფრო ზრდიან, ამაში კი, ცხადია, მდევრებიც არიან დამნაშავენი.



ლესტერი — ჩელსი. სტუმრებს ამჯერად ვერც ვიალიმ უშველა

იმავე შაბათს, „მანჩესტერის“ ოთხი მდევრიდან ორმა — „ჩელსიმ“ და „ბლექბერნმა“ წაიფორხილეს, „არსენალმა“ იმარჯვა, კიდევ ერთი — „ლივერპული“ კი დღეს თამაშობს.

„ჩელსიმ“ ახალი მწვრთნელის, ჯანლუკა ვიალის თავკაცობით პირველი მატჩი ლიგის თასის ნახევარფინალის ეგიდით ითამაშა და მოიგო, ამჯერად კი აპენინელი პირველად გაუძღვა გუნდს პრემიერლიგის მატჩში და დამარცხდა. „ჩელსი“ ინგლისის იმ იშვიათ გუნდთაგანია, რომელიც სანახაობრივ ფეხბურთს აჩვენებს, მაგრამ ლონდონელები, მანჩესტერელი მეტოქისგან განსხვავებით, ლამაზი, ლაღი ფეხბურთის გამო ხშირად შედეგს ვერ აღწევენ და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ლიდერებს ხანდახან გვარიანად ჩამორჩებიან ხოლმე. ეს სეზონიც არაა გამონაკლისი. შარშანდელი თასის მფლობელი გუნდის ხელმძღვანელობა სეზონის წინ სრულიად მოურიდებლად აცხადებდა, ამჯერად ჩვენი მიზანი პრემიერლიგის მოგებააო. პირველობის განმავლობაში ისინი ლიდერს ხან მიუახლოვდებოდნენ, ხანაც ისევ წინ გაუშვებდნენ, ერთი ეგ იყო, ლიდერთა დევნას სტაბილურად ვერ ახერხებდნენ და ამიტომაც ჩამორჩნენ მანჩესტერელთ. მათმა მორიგმა მეტოქემ, ლიგის თასის მფლობელმა „ლესტერმა“ დედაქალაქელი სტუმარი პირწმინდად დაჯაბნა. შესაძლებელი იყო, „დონ ლუკას“ (ვიალის ახალი მეტსახელია) გუნდი უარესი სხვაობითაც დამარცხებულიყო, მაგრამ ფორტუნამ მთლად არ გაწირა და ემილ ჰესკის ორი გოლი აკმარა. გამარჯვების მოსაპოვებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. ისე, ჰესკის პირველმა გოლმა დიდი გაუგებრობა გამოიწვია. ზოგი ამბობდა, თამაშგარე იყოო, ზოგმაც ჩათვალა, გოლი წესების სრული დაცვით გავიდაო. რა როგორ იყო, ძნელი სათქმელია, ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ ჰესკიმ 27 ოქტომბრის შემდეგ პირველად გაიტანა. „ლესტერის“ მწვრთნელმა მარტინ ონილმა მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა, ანგარიში გავხსენით თუ არა, მივხვდი, რომ გავიმარჯვებდით, აკი ასეც მოხდაო. მის იტალიელ კოლეგას ჯანლუკა ვიალის საუბარში წყენა ეტყობოდა — შესვენების შემდგომ ოცი წუთი კარგად ვითამაშეთ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო, ამიტომ წავაგეთო.

წააგო „იუნაიტედის“ კიდევ ერთმა მდევარმა, ინგლისის 1995 წლის ჩემპიონმა „ბლექბერნმა“, თუმცა, „ჩელსისგან“ განსხვავებით, როი ჰოჯსონის გუნდი განადგურდა, თან ზედიზედ მეორედ. გახსოვთ, ალბათ, რა კარგად დაიწყო „ბლექბერნმა“ პირველობა — გუნდი საკმაო ხანი ლიდერობდა, თუმცა შემდგომ რამდენიმე თამაში ჩააგდო და მას შემდეგ მხოლოდ მდევარია. „ჩელსის“ დარად, ისიც ხან მიუახლოვდება ლიდერს, ხან ჩამორჩება, ამ ბოლო ხანებში კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ბლექბერნში“ ვერაა ყველაფერი კარგად. წაგება წაგებად, მაგრამ როცა სამი ბურთის სხვაობით აგებ, ესე იგი, რაღაც ხდება. საუთჰემპტონში სტუმრებიც სწორედ ამ რაღაცის გამო განადგურდნენ.

რაც შეეხება სხვა შეხვედრებს, წინა ტურში ბლექბერნელთა გამანადგურებელმა „ტოტენჰემმა“ ამჯერად მინიმალური სხვაობით წააგო უსახურ „შეფილდ უენსდეისთან“. გამარჯვება იტალიელი პაოლო დი კანიოს სეზონში მე-13 გოლმა განაპირობა. მოიგო „ქოვენთრიმაც“, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მან ზედიზედ მეექვსედ იმარჯვა, რაც კლუბის რეკორდი გახლავთ. ცხრილის ბოლოში მყოფი ლონდონელი „ჩაქუჩები“ — „ვესტ ჰემი“ კვლავ ახალმა შენაძენმა, ტრევორ სინკლერმა იხსნა: მისი გოლის გაქვითვა მასპინძლებმა მხოლოდ შეხვედრის მიწურულს შეძლეს.

...მატჩის დასასრულამდე რვა წუთით ადრე „ნიუკასლი“ შინ კვლავ მარცხდებოდა. გადარჩენის არანაირი იმედი არ ჩანდა, მაგრამ დალგლიშმა ჩვეულებას არ უღალატა და შეხვედრის მიწურულს მოედანზე თემურ ქეცბაია შეუშვა. წამებში ქართველმა ნახევარმცველმა, მას შემდეგ რაც ცრუმოძრაობით მეტოქე თამოიშორა, მარცხენათი უძლიერესად დაარტყა და ლიდსელთა მეკარე ნაიჯელ მარტინი აიძულა ბურთი კარიდან გამოეტანა. „ნიუკასლი“, უკვე ვინ მოთვლის, მერამდენედ გადარჩა ამ სეზონში. ჩვენებურმა კი, მიუხედავად იმისა, რომ კვლავინდებურად ბოლო წუთებზე შევიდა თავისი საქმე მაინც გააკეთა.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 27 | 17 | 5 | 5 | 56:19 | 56 |
| არსენალი | 25 | 13 | 8 | 4 | 45:26 | 47 |
| ლივერპული | 26 | 13 | 7 | 6 | 44:25 | 46 |
| ჩელსი | 26 | 14 | 3 | 9 | 52:29 | 45 |
| ბლექბერნი | 26 | 12 | 9 | 5 | 44:30 | 45 |
| დერბი | 27 | 12 | 6 | 9 | 41:34 | 42 |
| ლესტერი | 27 | 10 | 10 | 7 | 31:23 | 40 |
| ლიდსი | 26 | 11 | 6 | 9 | 35:29 | 39 |
| ვესტ ჰემი | 26 | 12 | 3 | 11 | 38:36 | 39 |
| ქოვენთრი | 27 | 9 | 9 | 9 | 32:35 | 36 |
| საუთჰემპტონი | 27 | 10 | 4 | 13 | 33:37 | 34 |
| შეფილდი | 27 | 9 | 7 | 11 | 41:51 | 34 |
| ნიუკასლი | 26 | 9 | 6 | 11 | 26:31 | 33 |
| უიმბლდონი | 25 | 8 | 8 | 9 | 27:28 | 32 |
| ასტონ ვილა | 27 | 8 | 6 | 13 | 28:38 | 30 |
| ევერტონი | 26 | 7 | 7 | 12 | 31:39 | 28 |
| ტოტენჰემი | 27 | 7 | 6 | 14 | 25:43 | 27 |
| ბოლტონი | 26 | 4 | 12 | 10 | 23:42 | 24 |
| კრ. პალასი | 26 | 5 | 8 | 13 | 21:38 | 23 |
| ბარნსლი | 26 | 6 | 4 | 16 | 22:62 | 22 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კევინ გალაჰერი (ბლექბერნი) | 13 |
| კრის სატონი (ბლექბერნი) | 13 |
| ჯონ ჰართსონი (ვესტ ჰემი) | 12 |
| დენის ბერხკამპი (არსენალი) | 12 |
| დიონ დაბლინი (ქოვენთრი) | 12 |
| ენდი კოული (მანჩესტერი) | 12 |
| მაიკლ ოუენი (ლივერპული) | 12 |

## პირველი დივიზიონი

33-ე ტური. ბრედფორდი — ოქსფორდი 0:0; ჰადერსფილდი — ვულვერჰემპტონი 1:0; იფსვიჩი — ნორვიჩი 5:3; მიდლსბრო — სანდერლენდი 3:1; ქუინზ პარკი — პორტ ვეილი 0:1; რედინგი — პორტსმუთი 0:1; სტოკპორტი — ჩარლტონი 3:0; სტოკი — ნოტინგემი 1:1; სვინდონი — სიტი 1:3; ტრანმერი — ქრიუ 0:3; ვესტ ბრომი — ბერი 1:1; ბირმინგემი — შეფილდი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 32 | 19 | 8 | 5 | 54:27 | 65 |
| ნოტინგემი | 32 | 19 | 7 | 6 | 52:29 | 64 |
| სანდერლენდი | 31 | 17 | 7 | 7 | 51:31 | 58 |
| შეფილდ იუნ. | 31 | 14 | 12 | 5 | 46:33 | 54 |
| ჩარლტონი | 32 | 15 | 8 | 9 | 54:42 | 53 |
| ვულვზი | 32 | 15 | 6 | 11 | 42:32 | 51 |
| ბირმინგემი | 32 | 13 | 11 | 8 | 41:23 | 50 |
| სტოკპორტი | 33 | 15 | 5 | 13 | 52:43 | 50 |
| ვესტ ბრომვიჩი | 33 | 14 | 8 | 11 | 35:32 | 50 |
| იფსვიჩი | 32 | 12 | 12 | 8 | 48:33 | 48 |
| სვინდონი | 34 | 13 | 7 | 14 | 36:49 | 46 |
| ბრედფორდი | 34 | 11 | 12 | 11 | 34:35 | 45 |
| ქრიუ | 33 | 13 | 4 | 16 | 43:48 | 43 |
| ნორვიჩი | 33 | 11 | 8 | 14 | 31:50 | 41 |
| ქუინზ პარკი | 33 | 9 | 11 | 13 | 35:48 | 38 |
| ოქსფორდი | 32 | 10 | 7 | 15 | 38:45 | 37 |
| ტრანმერი | 32 | 9 | 9 | 14 | 36:41 | 36 |
| ჰადერსფილდი | 33 | 9 | 9 | 15 | 34:49 | 36 |
| რედინგი | 32 | 9 | 9 | 14 | 31:47 | 36 |
| სტოკ სიტი | 33 | 8 | 11 | 14 | 32:47 | 35 |
| პორტ ვეილი | 33 | 9 | 7 | 17 | 38:50 | 34 |
| სიტი | 33 | 8 | 9 | 16 | 37:38 | 33 |
| ბერი | 33 | 5 | 17 | 11 | 29:41 | 32 |
| პორტსმუთი | 32 | 8 | 6 | 18 | 34:50 | 30 |

# მიდლსბროს ამბავი

„მიდლსბრო", „ნოტინგემ ფორესტი" და „სანდერლენდი" პრემიერლიგაში გასული სეზონის ბოლოს „კრისტალ პალასმა", „ბოლტონმა" და „ბარნსლიმ" შეცვალეს, მაგრამ მათ მაისში კვლავ ზევით დაბრუნება ხელეწიფებათ.

დღეს, პირველი დივიზიონის მწვერვალი მაშინ დაქვეითებულ გუნდებს აქვთ დაპყრობილი, პრემიერლიგის ფსკერზე კი ისინი არიან, შარშან მაისში დიდ იმედს რომ იძლეოდნენ.

ამწუთას ინგლისში „მიდლსბროზე" მხნე გუნდი არ არსებობს. მან გასულ სეზონში სამჯერადი იმედგაცრუება გადაიტანა, მაგრამ ძლიერ, ერთ მუშტად შეკრულ კლუბად იქცა.

ბრაიან რობსონის გუნდი შარშან მხოლოდ ლიგიდან კი არ გავარდა, ლიგის თასისა და ასოციაციის თასის ფინალებიც წააგო. არადა, ამ ფინალებიდან ერთშიც რომ გემარჯვა, სძლევდა ასე არასასურველ რეკორდს, რომელსაც 122 წლიან ისტორიაში რაიმე ტიტულის ვერმოგება ჰქვია.

ახლა სხვაგვარადაა საქმე „ბორო" ელიტაში დაბრუნებას აპირებს.

ჩრდილოალმოსავლეთის დერბიში, „რივერსაიდზე" „სანდერლენდთან" 3:1 გამარჯვებამ „მიდლსბროს" ცხრილში ქულიანი უპირატესობა მოუტანა და კლუბისთვის ფანტასტიკური კვირა ამით დასრულდა. კვირის დასაწყისი ასეთი იყო: ოთხშაბათს „ლივერპულთან" 2:0 გამარჯვება და ზედიზედ მეორედ ლიგის თასის ფინალში გასვლა. ბედის ირონიაა: იქ მისი მოწინააღმდეგე იქნება. „ჩელსი", გუნდი რომელიც შარშან ასოციაციის თასის ფინალში შეხვდა და რომელმაც მოუგო.

„მიდლსბროს" ენთუზიაზმი „რივერსაიდზე" მარკო ბრანკას მისვლამ გააორმაგა. მასში მილანის „ინტერს" მილიონი გირვანქა ანუ 1,6 მილიონი დოლარი გადაუხადეს. ბრანკას „ლივერპულთან" დებიუტი ჰქონდა და რამდენიმე წუთში გოლიც იზეიმა. მანვე შაბათს ორი შეაგდო.

დებიუტის დღეს გაიტანა „სტოკპორტიდან" ერთი კვირის წინ გადასულმა ელან არმსტრონგმაც.

ზოგადად, „მიდლსბრო" უცხოელ ვარსკვლავთა ყიდვის ერთ-ერთი მოწინავეა. ადრე მან შეიძინა იტალიელი ფაბრიციო რავანელი, ბრაზილიელები ჟუნინიო, ბრანკო და ემერსონი, რომელთაგან ყველას რაღაც კონფლიქტი მოუვიდა კლუბთან. მიუხედავად ამისა, რობსონი არ ნებდება და საერთაშორისო ბაზარზე ძიებებს აგრძელებს. ჟუნინიოს ყიდვა უდავოდ წარმატებული ნაბიჯი გამოდგა, დანარჩენებისა — არა. შესაძლოა, „მიდლსბროს" ჩავარდნა ამის ბრალიც იყო.

ამასწინათ ნახევარმცველმა კრეიგ ჰინეტმა თქვა: — გასულ სეზონში დატრიალებული ამბების შემდეგ ეს კლუბი ზაფხულზე გადაკეთებას ითხოვდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ზოგი ფეხბურთელი აქ მხოლოდ ფულისა და სხვა რაიმეს წალლეტისთვის იყო. ვგონებ, ჯოჯოხეთზე უარეს ადგილას ვიყავით, მაგრამ თავს ვძლიეთ და წელში გავიმართეთ. „მიდლსბრო", როგორც კლუბი, გაცილებით მეტია, ვიდრე რომელიმე ფეხბურთელი და მას თავდადებული მწვრთნელი უდგას სათავეში. ნებისყოფის გამოვლენით ჩვენ დავამცირეთ გაქცეულები, ისინი, ვინც გვაკრატიკებდნენ, ვინც ჩვენს გამოყენებას ცდილობდა.

მიმდინარე სეზონში „მიდლსბროს" გამოფხიზლება მნიშვნელოვანწილად პოლ მერსონის „არსენალიდან" 5 მილიონ გირვანქად (8,2 მილიონი დოლარი) გადასვლასთანაც იყო დაკავშირებული. იგი ლონდონიდან ზაფხულზე გადაიბირეს.

სხვათა შორის, რობსონმა ამ ტრანსფერით საქვეყნოდ დაადასტურა, რომ გუნდიდან არავინ უშვებდა.

— ვიცი, ბევრი ფიქრობდა, რომ „მიდლსბრო" ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ კარიერის საფეხური იქნებოდა, მაგრამ რაც მეტ ხანს ვარ კლუბთან, მით უფრო მიძლიერდება მისადმი ერთგულების გრძნობა. გამომდინარე მოწინააღმდეგის კლასიდან და თამაშის მნიშვნელობიდან, შემიძლია ვთქვა, რომ „მიდლსბროს", ჩემს ხელში, ისე „ლივერპულთან" რომ ითამაშა, არასდროს უთამაშია. ფეხბურთელებმა ამ სეზონში ისეთი რამ შეძლეს, რისთვისაც არგაგონილ ჯილდოს იმსახურებენ. ის, რომ მათ ძალა მოიკრიბეს და კვლავ „უემბლისკენ" გაიკაფეს გზა, თავიხთავად მეტბველებს ყველაფერზე — ამბობს რობსონი.



ბრაიან რობსონი

დიახ, „მიდლსბრო" მთელი საუკუნის მანძილზე ცდილობდა ჩრდილო ინგლისში ფავორიტად ქცეულიყო, „ნიუკასლისა" და „სანდერლენდისთვის" ეჯობნა. ლონეს არც ახლა აკლებს. მისი ახალგაზრდა, მულტი-მილიონერი პრეზიდენტი სტივ გიბონსი 16 მილიონ დოლარად უმაღლესი კლასის საწვრთნელ კომპლექსს აშენებს, რომელიც მომავალი სეზონის დასაწყისში მზად იქნება. ამას ის 100 მილიონიც დაამატეთ, სამი წლის წინ 30 ათასიანი „რივერსაიდის" სტადიონის მშენებლობაში რომ ჩაიდო და დაინახავთ, საფუძველი ეყრება დიდ წარმატებას, რომელიც იმედია მალე იქნება.

როგორც გუნდის დანიელი თავდამსხმელი მიკელ ბეკი ამბობს:

— ჩვენ ახლა უწინდელზე ძლიერები ვართ და ამას დავამტკიცებთ. ერთი წლის განმავლობაში მესამედ გავიკაფეთ გზა „უემბლისკენ" — ეს დაუჯერებელია. შესაძლოა, ზეციდან ვილაც გვილიმის და სურს გასული სეზონის ამბების შემდეგ ხელი გაგვიმართოს.

**მაიძ ძოლეტი როიტერი**

# რა არის ასეთი?

„ვესტ ჰემმა" რეკორდი დაამყარა. მეკარეში, რომელსაც ოცი წელიწადი ჯერაც არ შესრულებია, ამდენი ფული არავის გადაუხდია.

საუბარია მესამე დივიზიონის „როჩდეილის" კარის დარაჯ სტივენ ბიუეტერზე, 16 წლის ჭაბუკზე რომელსაც ძირითადში ერთადერთხელ აქვს ნათამაშევი. აი, ასეთი მონაცემების კაცის გადასაბირებლად ლონდონელები 2,3 მილიონ გირვანქას იხდიან, რაც დოლარებში 3,8 გახლავთ.

ბიუეტერი ინლისის 17 წლამდელთა ნაკრების გოლკიპერიც გახლავთ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ამაზე საინტერესო ისაა, რომ მას დაბადების დღემდე, 7 ივნისამდე „ვესტ ჰემთან" კონტრაქტზე ხელმოწერის უფლება არ აქვს. რატომ? იმიტომ, რომ 7 ივნისამდე იგი ისევ 16 წლის იქნება.

ბიუეტერმა თქვა: — ჩემში 2,3 მილიონს იმიტომ იხდიან, რომ იმედი აქვთ, კლუბის ძირითადი მეკარეც გავხდები და ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებშიც ამიყვანენ.

სტივენის მამა დევიდი, რომელმაც შვილის მრჩეველის ფუნქცია ოფიციალურად იტვირთა, „სანდი მირორს" ესაუბრა.

— დიახ, საბოლოოდ 2,3 მილიონზე შევთანხმდით. „ვესტ ჰემიც" ყაბულსაა, — თქვა მან.

კომენტარი სთხოვეს ლონდონური კლუბის მენეჯერ-დირექტორს პიტერ სტორისაც.

— იგი სეზონის ბოლომდე ვითხოვეთ, მაგრამ ტრანსფერის საბოლოო თანხა უკვე დათქმული გვაქვს. პირველადი ჰონორარი 300 ათასი გირვანქა იქნება, შემდეგ კი ვნახოთ, მის თამაშზე იქნება დამოკიდებული.

გაირკვა, რომ ბიუეტერი მეკარეთა მოდგმისაა. მისი პაპის მამა „ასტონ ვილას" კარს იცავდა, პაპა „როჩდეილისას", მამა „ჰელიფაქსისას".

თინეიჯერის ანუ ჭაბუკის ყიდვაში ინგლისური რეკორდი 2,6 მილიონი გახლავთ: „ლიდს იუნაიტედმა" ეს თანხა „ჩარლტონ ატლეტიკს" 1996 წლის ივლისში 19 წლის ლი ბოუერში გადაუხადა.

ბიუეტერმა ზოგად რეკორდს ვერა დააკლო, მეკარისა კი მოხსნა.

## საფრანგეთი

XXVII ტური

**ნანტი 0:1 ტულუზი**

**0:1 მორო (4)**

**ბასტია 1:0 მონაკო**

**1:0 გოელი (61)**

**გინგამი 0:0 პსჟ**

**ლანსი 1:0 ბორდო**

**1:0 დრობნიაკი (61)**

**ოსერი 1:1 კანი**

**1:0 გივარში (35), 1:1 ვანენბურგი (73)**

**მარსელი 0:1 რენი**

**0:1 გრეგუარი (60)**

**ლე ავრი 2:1 მეცი**

**1:0 სანე (18), 2:0 დორასო (45), 2:1 ლუკიჩი (65)**

**მონპელიე 1:1 ლიონი**

**0:1 ბასილა (6), 1:1 რუვიერი (75)**

**სტრასბური 2:0 შატორუ**

**1:0 დაკური (42), 2:0 ბატიკლი (57)**

# თურმე, წაგებაც საჭირო ყოფილა

მარსელის „ოლიმპიკმა" დაწინაურების საუცხოო შანსი გაატანა ქარს. პირველ ადგილზე მყოფს რომ ემარჯვა ფრანგულ ოქროსაც სხვანაირად შეხედავდა და მდევრებსაც ნერვებს მოუშლიდა, მან კი ამის ნაცვლად სამარცხვინოდ წააგო. „ოლიმპიკი" შინ, გავარდნასთან მებრძოლ „რენთან" დამარცხდა.

დახეთ, რა ხდება: „მეცმა" „ლე ავრთან" სტუმრად 1:2 იწვნია. მოკლედ, „მარსელს" წესითა და რიგით საკმაოდ იოლი ამოცანა რომ გადაეჭრა, ახლა სამი ქულით იქნებოდა წინ. ამის ნაცვლად მან ხუთ დღეში მეორედ წაიფორხილა. თან შინ! საუბარია „ოსერთან" წაგებულ 2:3-ზე. ის თამაში ფრანგული ლიგის თასის მეოთხედფინალი გახლდათ.

როლან კოტბუსის გუნდის წინააღმდეგ „რენმა" მეტად მობილიზებულმა ითამაშა. მართლაც, სტეფან გრეგორის გოლმა, სწრაფ კონტრშეტევას რომ მოჰყვა, „რენს" პირველი სტუმრული სამი ქულა მოუტანა.

თამაშის შემდეგ კოტბუსმა ფილოსოფოსობა სცადა: — კაცმა უნდა იცოდეს, როგორ მიაღწიოს გამარჯვებას, მაგრამ მანვე შიგადაშიგ დამარცხების ფასიც უნდა გაიგოს. ჩვენ წაგებამ გული კი დაგვწყვიტა, მაგრამ გაზვიადება არ ეგების. ნუ დავივიწყებთ, რომ 50 ქულა უკვე მოვიპოვეთ და ეს ცუდი სულაც არ გახლავთ.

კოტბუსმა დაღლილობაზეც თქვა ორიოდ სიტყვა.

— ეს თამაში ჩვენთვის რვა დღეში მესამე გახლდათ, თანაც ლიგის თასზე წაგებამ მორალზე იმოქმედა. როგორც ჩანს, ვერ შევძელით იმ აუცილებელი სამუშაოს ჩატარება, დასვენებულ მეტოქესთან შედეგიანად რომ გვეთამაშებდა.

მაშ ასე, 50 ქულიან „მარსელსა" და „მეცს" მხოლოდ ბურთების სხვაობა აცილებს ერთმანეთთან. მათ მოსდევს „ლანსი", რომელმაც „ბორდოს" აჯობა 1:0. გოლი იუგოსლავიელმა ანტო დრობნიაკმა შეაგდო. სეზონში მეათე მიზნის მისაღწევად მან პასი მარცხენა ფრთიდან მიიღო.

როგორც ცხრილიდან ჩანს, „ლანსი" და გასული ჩემპიონატის გამარჯვებული „მონაკო" თანაბრად არიან. მონაკოელებმა კორსიკაზე წააგეს „ბასტიასთან".

დავუბრუნდეთ „მეცს".

— ჩვენ უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე „პარი სენ ჟერმენთან", მაგრამ შედეგი კვლავ არ ჩანს — თქვა „მეცის" კაპიტანმა სილვაინ კასტენდოშმა. „პარი სენ ჟერმენთან" „მეცმა" ლიგის თასზე წააგო 0:1.

— ჩვენი წილი შესაძლებლობები ვერ გამოვიყენეთ, „ლე ავრმა" კი პირველ ტაიმში ორივე მომენტით იხეირა — დასძინა მან.

მოხერხებული თავდამსხმელი ომარ სანე და ნახევარმცველი ჟაკ დორასო გამოირჩნენ. დორასოს გოლი ჩინებულ 20 მეტრიან რეიდს მოჰყვა, თუმცა ბოლოწამს კასტენდოშის ფეხს ოდნავ შეეხო, აისხლიტა და ისე შევარდა ბადეში. მეცელთაგან პასუხი იუგოსლავიელმა თავდამსხმელმა კლადან ლუკიჩმა გასცა.

„პარი სენ ჟერმენის" მწვრთნელს, ბრაზილიელ რიკარდოს კლუბის ხელმძღვანელებმა ორი თამაში მისცეს, ამ ორ მატჩში მდგომარეობა



სტეფან გივარში

საშინელებები აღარ დაგვანახოო. პარიზელებმა „გინგამთან" სტუმრად 0:0 ითამაშეს. ალბათ ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ (იგულისხმება ჩემპიონატის შეხვედრები), ეს შედეგი კარგად უნდა ჩაითვალოს.

ზემოთ ლიგის თასზე „ოსერის" მარსელის „ველოდრომზე" გამარჯვება ვახსენეთ. იქ საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა სტეფან გივარშმა ჰეთ-ტრიქი შეასრულა. ეს იმიტომ მოვიგონეთ, რომ გივარშმა აუტსაიდერ „კანთან" 1:1 ითამაშა და აქაც გოლი გივარშის ფეხისა იყო. ესე იგი კვირაში მეოთხე! სულ, ჩემპიონატში ოსერელს 20 აქვს გატანილი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 27 | 15 | 5 | 7 | 39:18 | 50 |
| მეცი | 27 | 14 | 8 | 5 | 38:22 | 50 |
| მონაკო | 27 | 15 | 4 | 8 | 41:24 | 49 |
| ლანსი | 27 | 15 | 4 | 8 | 38:28 | 49 |
| პსჟ | 27 | 13 | 6 | 8 | 37:26 | 45 |
| ლიონი | 27 | 13 | 3 | 11 | 31:30 | 42 |
| ბასტია | 27 | 10 | 10 | 7 | 27:20 | 40 |
| ბორდო | 27 | 10 | 10 | 7 | 35:31 | 40 |
| ოსერი | 27 | 11 | 6 | 10 | 43:36 | 39 |
| ნანტი | 27 | 10 | 5 | 12 | 27:31 | 35 |
| მონპელიე | 27 | 8 | 10 | 9 | 28:33 | 34 |
| ლე ავრი | 27 | 7 | 11 | 9 | 28:27 | 32 |
| ტულუზი | 27 | 8 | 7 | 12 | 21:37 | 31 |
| რენი | 27 | 7 | 7 | 13 | 28:37 | 28 |
| გინგამი | 27 | 7 | 7 | 13 | 22:31 | 28 |
| სტრასბური | 27 | 6 | 8 | 13 | 30:38 | 26 |
| შატორუ | 27 | 7 | 5 | 15 | 25:50 | 26 |
| კანი | 27 | 6 | 6 | 15 | 27:46 | 24 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სტეფან გივარში (ოსერი) | 20 |
| დავიდ ტრეზეგე (მონაკო) | 14 |
| ვიკტორ იკპება (მონაკო) | 12 |
| ლილიან ლასლანდი (ბორდო) | 11 |
| რობერ პირესი (მეცი) | 11 |
| ლორან ბლანი (მარსელი) | 10 |
| სავიერ გრაველენი (მარსელი) | 10 |
| ანტონ დრობნიაკი (ლანსი) | 10 |

## ფეხბურთის რუკასთან

**იუგოსლავიის** დედაქალაქის დერბი „პარტიზანსა" და „ცრვენა ზვეზდას" შორის, მიუხედავად იმისა, რომ თამაში უმცირესობაში ჩაამთავრა, „ცრვენა ზვეზდამ" მოიგო 2:1. 35 ათას მაყურებელს შორის იყო ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი სლობოდან სანტრაჩი, რომელიც არგენტინაში ამხანაგურ მატჩზე წასაყვან მოთამაშეებს აკვირდებოდა. სამწუხაროდ მას გამოაკლდა „ცრვენას" კაპიტანი ზორან იოვიჩიჩი, რომელმაც შეხვედრის მე-15 წუთზე კოჭი იტკინა და მოედანი დასტოვა. შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ „ბარსელონას" მზვერავი ბობი რობსონი და მისი ეინდჰოვენელი კოლეგა ფრენკ არნესენი. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ბუდუჩნოსტი — პროლეტერი 3:1, ნოვი სადი — ჟელეზნიკი 3:2, ჩუკარიჩკი — ზემუნი 1:1, ჰაიდუკი — რადი 0:0, ობილიჩი — მლადოსტი 4:0. 18 ტურის შემდეგ 45 ქულით პირველ ადგილზეა „ობილიჩი". მას ქულით ჩამორჩება — „ცრვენა ზვეზდა", 39 ქულით კი მესამეზეა „პარტიზანი".

**ინგლისში 87 წლისა გარდაიცვალა „არსენალის" 30-იანი წლების დიდი გუნდის უკანასკნელი წევრი ჯორჯ მეილი. ეს ის „არსენალი" გახლდათ, 1936 წელს ასოციაციის თასი რომ მოიგო, 1933, 1934, 1935 და 1938 წლებში კი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. მეილი 1935-39 წლებში ინგლისის ნაკრებში თამაშობდა, რომლის შემადგენლობაშიც 19 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მან ცხოვრების 50 წელიწადი მეთოფეთა საყვარელ გუნდს მიუძღვნა, იყო მისი ფეხბურთელი, მწვრთნელი და მზვერავი.**

**ბულგარეთის** მე-16 ტური. ლოკომოტივი (სოფია) — ნეფტოხიმიკი 1:1; მინიორი — ლიტექსი 0:2; [illegible]ცსკა — სპარტაკი (ვარნა) 2:0; ოლიმპიკი — მეტალურგი 1:0; დობრუჯა — ლოკომოტივი (პლოვდივი) 2:0; ლევსკი (სოფია) — ლევსკი (კუსტენდილი) 4:0; სპარტაკი (პლევენი) — სლავია 0:1; ეტური — ცსკა 0:2. 39 ქულით ლიდერობს ლიტექსი, 36 ქულით მეორეა ლევსკი (სოფია)

**ჩეხეთის მე-16 ტური. ვიქტორია (ჟიჟკოვი) — იაბლონეცი 1:0; სლავია — პეტრა 3:0; სლოვანი (ლიბერეცი) — კაუჩუკი 3:0; ჩესკე ბუდეიოვიცე — ჰრადეც კრალოვე 1:0; დუკლა (პრაღა) — ბანიკი 1:5; ბოჰდანეცი — ბობი ბრნო 0:1; ტეპლიცე — სიგმა 1:3; ვიქტორია (პლზენი) — სპარტა 0:1. 39 ქულით ლიდერობს სპარტა, 29 ქულით მეორეა სლავია.**

**ხორვატიის** მე-18 ტური. კროაცია — რიეკა 2:0; ჰაიდუკი — ზადარკომერცი 1:2; ოსიეკი — დრაგოვილიაცი 1:0; მლადოსტ 127 — ზაგრები 1:1; ვარტექსი — სლავენი 1:1; შიბენიკი — შამობორი 2:0. 41 ქულით ლიდერობს კროაცია, რომელსაც ერთი თამაშით ნაკლები აქვს, 36 ქულით მეორეა ჰაიდუკი.

## საბერძნეთი

**23-ე ტური. ათინაიკოსი — პანათინაიკოსი 0:3; ეთნიკოსი — პანილიაკოსი 1:0; კალამატა — პრუდეფტიკი 3:1; პანახაიკი — აპოლონი 1:0; ვერია — პანიონისი 4:0; ირაკლისი — ოფი 3:1; კავალა — ქსანთი 2:0; ოლიმპიაკოსი — პაოკი 2:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 23 | 19 | 1 | 3 | 61:17 | 58 |
| ოლიმპიაკოსი | 23 | 19 | 1 | 3 | 59:16 | 58 |
| აეკი | 22 | 16 | 4 | 2 | 44:20 | 52 |
| პაოკი | 23 | 13 | 6 | 4 | 40:25 | 45 |
| იონიკოსი | 22 | 13 | 5 | 4 | 34:19 | 44 |
| ირაკლისი | 23 | 13 | 5 | 5 | 36:24 | 44 |
| ოფი | 23 | 10 | 3 | 10 | 32:36 | 33 |
| [illegible] | 23 | 9 | 4 | 10 | 39:42 | 31 |
| აპოლონი | [illegible] | 8 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 29 |
| პანილიაკოსი | 23 | 7 | 7 | 9 | 32:32 | 28 |
| პანიონისი | 23 | 8 | 3 | 12 | 27:32 | 27 |
| ვერია | 23 | 6 | 4 | 13 | 26:37 | 22 |
| პანახაიკი | 23 | 7 | 1 | 15 | 20:44 | 22 |
| კალამატა | 23 | 5 | 5 | 13 | 17:31 | 20 |
| ეთნიკოსი | 23 | 6 | 1 | 16 | 17:35 | 19 |
| პრუდეფტიკი | 23 | 5 | 4 | 14 | 22:47 | 19 |
| კავალა | 23 | 4 | 5 | 14 | 25:43 | 17 |
| ათინაიკოსი | 23 | 4 | 4 | 15 | 14:38 | 16 |

## ისრაელი

მე-20 ტური. ჰაპოელი (ქვარ სავა) — ჰაპოელი (ჰაიფა) 1:4; ჰაპოელი (ბეით შეანი) — მაკაბი (ჰერცლია) 3:0; ბეითარი — ირონი (რიშონი) 4:2; მაკაბი (თელ ავივი) — ჰაპოელი (ბეერშევა) 3:0; ირონი (აშდოდი) — ჰაპოელი (ფეთაჰ. თიქვა) 2:2; მაკაბი (ფეთაჰ თიქვა) — ჰაპოელი (აშქელონი) 1:0; ბნეი იეჰუდა — ჰაპოელი (თელ ავივი) 0:1; მაკაბი (ჰაიფა) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰ. თელ ავივი | 20 | 13 | 5 | 2 | 20:8 | 44 |
| ბეითარი | 20 | 11 | 8 | 1 | 47:22 | 41 |
| ჰ. ჰაიფა | 20 | 10 | 8 | 2 | 37:19 | 38 |
| მ. ჰაიფა | 20 | 11 | 4 | 5 | 34:22 | 37 |
| ჰ. ფეთაჰ თიქვა | 20 | 9 | 5 | 6 | 29:23 | 32 |
| ჰ. იერუსალიმი | 20 | 6 | 8 | 6 | 23:25 | 26 |
| ჰ. ქვარ სავა | 20 | 7 | 5 | 8 | 23:27 | 26 |
| ი. აშდოდი | 20 | 6 | 8 | 6 | 26:32 | 26 |
| მ. ფეთაჰ თიქვა | 20 | 5 | 9 | 6 | 15:19 | 24 |
| მ. თელ ავივი | 20 | 5 | 7 | 8 | 22:23 | 22 |
| მ. ჰერცლია | 20 | 5 | 7 | 8 | 23:27 | 22 |
| ი. რიშონი | 20 | 5 | 5 | 10 | 25:34 | 20 |
| ბნეი იეჰუდა | 20 | 4 | 7 | 9 | 17:23 | 19 |
| ჰ. ბეით შეანი | 20 | 4 | 7 | 9 | 19:28 | 19 |
| ჰ. ბეერშევა | 20 | 3 | 7 | 10 | 22:37 | 16 |
| ჰ. აშქელონი | 20 | 3 | 6 | 11 | 16:29 | 15 |

## ალბანეთი

მე-20 ტური. ფლამურტარი — ვლაზნია 0:0; დინამო — ტეუტა 0:0; აპოლონია — ტომორი 1:0; ბილიში — სკენდერბო 2:0; პარტიზანი — ბესა 3:0; შკუმბინი — ტირანა 1:1; ალბპეტროლი — ლაჩი 3:0; ლუშნია — სოპოტი 3:0; შკიპონია — ელბასანი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლაზნია | 20 | 14 | 2 | 4 | 23:15 | 44 |
| პარტიზანი | 20 | 14 | 1 | 5 | 39:12 | 43 |
| ტირანა | 20 | 12 | 4 | 4 | 36:12 | 40 |
| შკუმბინი | 20 | 10 | 3 | 7 | 37:24 | 33 |
| ლაჩი | 20 | 10 | 2 | 8 | 26:20 | 32 |
| ტეუტა | 20 | 10 | 2 | 8 | 19:18 | 32 |
| ბილიში | 20 | 9 | 3 | 8 | 29:20 | 30 |
| აპოლონია | 20 | 8 | 5 | 7 | 25:20 | 29 |
| ელბასანი | 20 | 9 | 1 | 10 | 28:16 | 28 |
| ლუშნია | 20 | 7 | 5 | 8 | 26:23 | 26 |
| ფლამურტარი | 20 | 7 | 5 | 8 | 26:24 | 26 |
| სოპოტი | 20 | 7 | 4 | 9 | 18:28 | 23 |
| სკენდერბო | 20 | 6 | 5 | 9 | 18:28 | 23 |
| ტომორი | 20 | 7 | 2 | 11 | 18:33 | 23 |
| ბესა | 20 | 6 | 4 | 10 | 29:34 | 22 |
| შკიპონია | 20 | 6 | 3 | 11 | 19:36 | 21 |
| დინამო | 20 | 5 | 4 | 11 | 15:27 | 19 |
| ალბპეტროლი | 20 | 4 | 3 | 13 | 12:52 | 15 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა

XIX ტური

### ფრაიბურგი 0:1 ნიურნბერგი

ფრაიბურგი: რეუსი, ჰოფმანი, კორელი, დიარა (შვინკენდორფი 58), კოლი, ვაისჰაუპტი, ბურიჩი (შუმანი 73), პავლინი, ფრონცეკი, ვასმერი (კობიაშვილი 70), იაშვილი

0:1 ჩირიჩი (29)

„ფრაიბურგს" ფორტუნაც გაუწყრა და მსაჯიც. მატჩის დასაწყისში სასა ჩირიჩის მიერ გატანილი გოლი ვერაფრით გაქვითა. მასპინძელთა მწვრთნელი ფოლკერ ფინკე ხსნას ტრავმამოუშუშებელი კობიაშვილისგან ელოდა, მაგრამ ამ ჯერზე ვერც მან უშველა.

„ნიურნბერგი" ამ მოგებით „ფრაიბურგს" ქულებით კი გაუსწორდა, მაგრამ მაინც მეორეა. მართალია, ჩვენებურთა გუნდმა მეორე წრე ორი მარცხით დაიწყო, მაგრამ მაინც საეჭვოა, პირველ ბუნდესლიგაში გადასვლა გაუჭირდეს.

დანარჩენი მატჩები: ლაიპციგი — კოტბუსი 0:0; ფიურტი — მაინცი 2:2; გიუტერსლო — ზანკტ პაული 1:1; კარლ ცაისი — კიკერსი 2:1; უნტერჰახინგი — ცვიკაუ 2:0; აინტრახტი — ვატენშაიდი დღეს გაიმართება, ურდინგენი — დიუსელდორფი და მეპენი — ფორტუნა 25 თებერვალს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 19 | 11 | 2 | 6 | 35:23 | 35 |
| ნიურნბერგი | 19 | 11 | 2 | 6 | 25:19 | 35 |
| აინტრახტი | 18 | 8 | 7 | 3 | 25:17 | 31 |
| გიუტერსლო | 19 | 7 | 10 | 2 | 21:14 | 31 |
| ურდინგენი | 18 | 8 | 6 | 4 | 21:14 | 30 |
| ზანქტ პაული | 19 | 7 | 7 | 5 | 22:21 | 28 |
| კოტბუსი | 19 | 6 | 9 | 4 | 22:17 | 27 |
| უნტერჰახინგი | 19 | 6 | 8 | 5 | 23:15 | 26 |
| ფიურტი | 19 | 7 | 5 | 7 | 19:21 | 26 |
| მაინცი | 19 | 5 | 9 | 5 | 33:31 | 24 |
| დიუსელდორფი | 18 | 5 | 7 | 6 | 29:27 | 22 |
| ფორტუნა | 18 | 5 | 7 | 6 | 25:28 | 22 |
| ლაიფციგი | 19 | 6 | 4 | 9 | 20:34 | 22 |
| ვატენშაიდი | 18 | 5 | 6 | 7 | 20:21 | 21 |
| კიკერსი | 19 | 5 | 4 | 10 | 26:33 | 19 |
| კარლ ცაისი | 19 | 5 | 4 | 10 | 21:32 | 19 |
| მეპენი | 18 | 3 | 7 | 8 | 20:27 | 16 |
| ცვიკაუ | 19 | 3 | 6 | 10 | 13:26 | 15 |

## ბელგია

23-ე ტური. მოლენბეკი — ბრიუგე 0:2; ანტვერპენი — ვესტერლო 0:0; ბევერენი — ჰარელბეკი 1:0; გენტი — ლოკერენი 1:1; შარლერუა — ეკერენი 3:2; გენკი — ლომელი 3:0; ლიერსი — სენტ ტრუიდენი 1:0; მუსკრონი — ანდერლეხტი 2:2; სტანდარდი — აალსტი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 23 | 20 | 3 | 0 | 58:17 | 63 |
| გენკი | 23 | 14 | 4 | 5 | 50:29 | 46 |
| ეკერენი | 23 | 12 | 5 | 6 | 42:30 | 41 |
| ჰარელბეკი | 23 | 10 | 9 | 4 | 40:24 | 39 |
| ანდერლეხტი | 23 | 10 | 6 | 7 | 34:27 | 36 |
| ლოკერენი | 23 | 11 | 1 | 11 | 44:47 | 34 |
| ლიერსი | 23 | 9 | 6 | 8 | 35:31 | 33 |
| ლომელი | 23 | 9 | 5 | 9 | 35:34 | 32 |
| გენტი | 23 | 7 | 9 | 7 | 35:33 | 30 |
| სტ. ტრუიდენი | 23 | 7 | 8 | 8 | 23:25 | 29 |
| შარლერუა | 23 | 8 | 5 | 10 | 34:43 | 29 |
| სტანდარდი | 23 | 7 | 7 | 9 | 32:32 | 28 |
| აალსტი | 23 | 7 | 6 | 10 | 34:39 | 27 |
| ვესტერლო | 23 | 6 | 9 | 8 | 31:37 | 27 |
| მუსკრონი | 23 | 5 | 7 | 11 | 24:35 | 22 |
| ბევერენი | 23 | 4 | 7 | 12 | 21:38 | 19 |
| მოლენბეკი | 23 | 5 | 4 | 14 | 26:56 | 19 |
| ანტვერპენი | 23 | 3 | 5 | 15 | 25:46 | 14 |

## თურქეთი

23-ე ტური. ქოჯაელი — ქარაბუქი 2:3; დარდანელი — გალათასარაი 1:0; ფენერბაჰჩე — ქაისერი 1:2; ანთალია — გალათასარაი 1:3; გენჩლერბირლიგი — სამსუნი 1:1; ვანსფორი — ისთანბული 1:1; ბეშიქთაში — ალთაი 0:1; შექერსფორი — ტრაბზონი 0:2; ბურსა — ანკარაგიუჯიუ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაბზონი | 23 | 14 | 6 | 3 | 42:21 | 48 |
| გალათასარაი | 24 | 14 | 4 | 6 | 52:30 | 46 |
| ფენერბაჰჩე | 23 | 13 | 6 | 4 | 38:18 | 45 |
| ისთანბული | 23 | 10 | 9 | 4 | 40:24 | 39 |
| სამსუნი | 23 | 10 | 6 | 7 | 31:24 | 36 |
| ბურსა | 23 | 10 | 5 | 8 | 32:30 | 35 |
| ბეშიქთაში | 23 | 9 | 7 | 7 | 39:27 | 34 |
| ქარაბუქი | 23 | 10 | 4 | 9 | 26:30 | 34 |
| დარდანელი | 23 | 8 | 7 | 8 | 27:23 | 31 |
| ქოჯაელი | 23 | 8 | 6 | 9 | 30:28 | 30 |
| ანკარაგიუჯიუ | 23 | 8 | 6 | 9 | 27:30 | 30 |
| ქაისერი | 23 | 8 | 4 | 11 | 25:36 | 28 |
| ალთაი | 23 | 7 | 6 | 10 | 22:33 | 27 |
| გენჩლერბირ. | 23 | 6 | 8 | 9 | 24:24 | 26 |
| შექერსფორი | 23 | 6 | 5 | 12 | 25:52 | 23 |
| გაზიანთეფი | 22 | 5 | 7 | 10 | 27:32 | 22 |
| ანთალია | 23 | 5 | 7 | 11 | 31:41 | 22 |
| ვანსფორი | 23 | 1 | 7 | 15 | 16:51 | 10 |

## შოტლანდია

25-ე ტური. სელტიკი — კილმარნოკი 4:0; დანფერმლაინი — დანდი იუნაიტედი 2:2; ჰიბერნიანი — რეინჯერსი 1:2; მოზერველი — ჰართსი 2:4; სენტ ჯონსტონი — აბერდინი 0:1

„სელტიკმა" „კილმარნოკს" 4:0 რომ მოუგო, ოთხივე გოლი ნორვეგიელმა თავდამსხმელმა ჰაროლდ ბრატბაკმა გაიტანა. ირლანდიელების მიერ დაარსებულ გლაზგოელ კათოლიკთა გუნდს კვლავ აქვს შანსი 1988 წლის შემდეგ პირველად მოიპოვოს შოტლანდიის ჩემპიონის ტიტული.

ბრატბაკი „სელტიკში" ტრონდჰეიმის ცნობილი „რუსენბორგიდან" 2 მილიონ გირვანქად ანუ 3,3 მილიონ დოლარად დეკემბერში გადავიდა, მაგრამ აქამდე წამლად ერთი გოლიც არ ჰქონდა გატანილი.

ცხრილის სათავეში კი მაინც „რეინჯერსია", პროტესტანტები ზედიზედ მეათე ოქროსკენ ჯიქურ მიიწევენ და საამისოდ აუტსაიდერ „ჰიბერნიანს" თავიდან გაშვებულ გოლზე ორით უპასუხეს. „ჰიბერნიანს" ახალი მწვრთნელი ჰყავს, ალექს მაკლეიში. მაკლეიშს თავის მხრივ მომავლის იმედი აქვს, რომელიც „რეინჯერსთან" თამაშის მე-19 წუთზე ბერი ლევერტის გოლმაც ჩაუსახა, მაგრამ მარკო ნეგრიმ 35-ე წუთზე სეზონში თავისი 35-ე გოლით გაათანაბრა, იორგ ალბერტცმა კი 88-ზე გლაზგოელთა გამარჯვებისა დაარტყა. სხვათა შორის, 73-ე წუთზე „რეინჯერსს" ალეკ კლილენდი გაუგდეს მოედნიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონმა ბოლო 17 წუთი უმცირესობაში ჩაატარა.

„ჰართსი" „რეინჯერსზე" უარესად იყო ჩამორჩენილი. 37-ე წუთზე იგი ბოლოდან მეორე „მოზერველთან" 0:2-ს აგებდა, მაგრამ ლონე იხმარა და 4:2 გაიმარჯვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 25 | 15 | 7 | 3 | 57:27 | 52 |
| სელტიკი | 25 | 16 | 4 | 5 | 47:17 | 52 |
| ჰართსი | 25 | 16 | 4 | 5 | 56:33 | 52 |
| კილმარნოკი | 25 | 9 | 6 | 10 | 28:44 | 33 |
| სტ ჯონსტონი | 25 | 9 | 5 | 11 | 26:31 | 32 |
| დანდი იუნ. | 25 | 7 | 8 | 10 | 35:38 | 29 |
| აბერდინი | 25 | 7 | 7 | 11 | 28:39 | 28 |
| დანფერმლაინი | 25 | 6 | 8 | 11 | 28:46 | 26 |
| მოზერველი | 25 | 6 | 5 | 14 | 33:45 | 23 |
| ჰიბერნიანი | 25 | 4 | 6 | 15 | 29:47 | 18 |

## პორტუგალია

22-ე ტური. ლეცა — ამადორა 0:4; აკადემიკა — მარიტიმუ 0:0; შავეში — ბელენენსეში 1:0; ფარენსე — გიმარაეში 2:0; სეტუბალი — ვარზიმი 1:1; რიუ ავე — სალგეირუში 1:1; კამპომაიორენსე — პორტუ 2:2; ბრაგა — ბოავიშტა 1:2; სპორტინგი — ბენფიკა 1:4 (ლეანდრო 66; პობორსკი 44, ჟოზე სოუზა 63, დინი 68, ჟოაო პინტუ 83)

ერთ დროს „ბენფიკა" პორტუგალიის უძლიერეს გუნდად ითვლებოდა, თუმცა ბოლო წლებში მას „პორტუ" აშკარად ჯაბნის. ლისაბონელთა თამაში შოტლანდიელი გრემ სუნესის კლუბში მისვლამდე საშინელება იყო, მას ფეხბურთი არ ერქვა. გუნდიც კრიზისში იმყოფებოდა და ჩემპიონობისთვის კი არა, ლამის ქვეყნის უმაღლეს დივიზიონში დარჩენისთვის უხდებოდა ბრძოლა. მართალია ლისაბონელთა გუნდი სუნესს არ აუყვავებია, მაგრამ მაინც დღეს საქმე ასე აღარაა — სუნესის წყალობით „ბენფიკა" ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ძლიერდება და ბოლო ხანებში ლიდერ „პორტუსაც" გვარიანად ანერვიულებს.

ამჯერად „პორტუმ" „კამპომაიორენსესთან" ორი ქულა დაკარგა, „ბენფიკამ" კი ლისაბონურ დერბიში „სპორტინგი" სძლია 4:1 და სხვაობა ლიდერთან კიდევ ერთხელ შეამცირა.

„ბენფიკას" და „სპორტინგის", ამ ორი ძირძველი ლისაბონური გუნდის შეხვედრები მუდამ პრინციპულობით გამოირჩეოდა, მაგრამ ახლა „ბენფიკას" უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მეტოქე მიწასთან გაასწორა — 4:1. სხვათა შორის, მეზობელთა ნრევაში დიდი როლი სუნესის ახალმა შენაძენებმა — ექს-მანჩესტერელმა კარელ პობორსკიმ და ექს-შეფილდიუნაიტედელმა ბრაიან დინმა ითამაშეს. მართალია სტუმართა გამარჯვება ამ ორმა განაპირობა, მაგრამ მათგანაც კარელ პობორსკი მაინც აღნიშვნის ღირსია — თმაგრძელი ჩეხი, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედში" გატარებული სეზონნახევარი, თამამად შეიძლება ითქვას ჩაუვარდა, პორტუგალიის ყველაზე ტიტულოვან გუნდში აშკარად ძლიერად ათამაშდა.

ევროპის ვიცე-ჩემპიონმა და ტურნირის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ, პობორსკიმ ანგარიში შესვენებამდე ერთი წუთით ადრე გახსნა, მას შემდეგ, რაც მინტოს გადაცემა უძლიერესი დარტყმით დაავირგვინა, 2:0 კი მცველმა ჟოზე სოუზამ გახადა დინის პასით. ამის შემდეგ „სპორტინგის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ლეანდრომ 66-ე წუთზე ერთი ბურთი გაქვითა, თუმცა ორ წუთში დინმა, რომელიც „ბენფიკაში" გასულ თვეს გადაბარგდა, ორბურთიანი სხვაობა აღადგინა. მეტოქეს განადგურებას კი მასპინძელთა გამოცდამრთელებულმა კაპიტანმა ჟოაო პინტუმ დაუსვა წერტილი — „სპორტინგის" მცველები უკვე ვინ მოთვლის მერამდენედ შეცდნენ უხეშად და ანგარიშიც გაიზარდა.

— გვეგონა, რთული თამაში იქნებოდა, მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, მოვტყუვდით. „სპორტინგთან" „ბენფიკას" კარგა ხანია, ასე იოლად არ მოუგია. მეტოქისგან უფრო მეტს ველოდი, თუმცა უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ჩვენ ვიმარჯვეთ და მთავარი ჩემთვის ესაა — განაცხადა სუნესმა, რომელმაც საუბრის ბოლოს ისიც დასძინა, სანამ ჩემპიონობის შანსებს პრაქტიკულად არ დავკარგავთ, მანამდე პირველობისთვის ვიბრძოლებთო.

...სამშაბათს „ბენფიკა" ქვეყნის თასის ნახევარფინალში, უეფას თასზე თბილისის „დინამოს" შემარცხვენელ „ბრაგას" ხვდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 22 | 15 | 5 | 2 | 49:24 | 50 |
| ბენფიკა | 22 | 12 | 6 | 4 | 36:20 | 42 |
| გიმარაეში | 22 | 11 | 4 | 7 | 26:16 | 37 |
| ამადორა | 22 | 9 | 7 | 6 | 30:25 | 34 |
| რიუ ავე | 22 | 9 | 7 | 6 | 29:25 | 34 |
| ბოავიშტა | 22 | 8 | 9 | 5 | 28:20 | 33 |
| სპორტინგი | 22 | 8 | 8 | 6 | 25:21 | 32 |
| მარიტიმუ | 22 | 9 | 5 | 8 | 24:22 | 32 |
| სალგეირუში | 22 | 8 | 7 | 7 | 30:25 | 31 |
| ფარენსე | 22 | 6 | 10 | 6 | 29:29 | 28 |
| ლეცა | 22 | 8 | 4 | 10 | 22:29 | 28 |
| ბრაგა | 22 | 6 | 9 | 7 | 31:29 | 27 |
| კამპომაიორ. | 22 | 7 | 6 | 9 | 31:37 | 27 |
| აკადემიკა | 22 | 5 | 8 | 9 | 17:27 | 23 |
| ვარზიმი | 22 | 5 | 8 | 9 | 20:32 | 23 |
| სეტუბალი | 22 | 5 | 7 | 10 | 22:27 | 22 |
| შავეში | 22 | 5 | 3 | 14 | 19:38 | 18 |
| ბელენენსეში | 22 | 2 | 7 | 13 | 12:34 | 13 |

## ჰოლანდია

### გრონინგენი 0:3 გრააფსხაპი

0:1 ალი იბრაჰიმი (29), 0:2 ფუხსი (57), 0:3 ვისკაალი (90)

## იტალია

XXII ტური

### ბარი 2:2 ლეჩე

1:0 დე აშენტისი (39), 2:0 ინგესონი (43პ), 2:1 იანუცი (73), 2:2 როსი (90)

### ბოლონია 3:0 პიაჩენცა

1:0, 2:0 ანდერსონი (34, 52), 3:0 ბაჯო (88)

### ბრეშა 2:2 ატალანტა

1:0, 2:0 უბნერი (12, 54პ), 2:1 როსინი (71), 2:2 მაგალანესი (74)

### ფიორენტინა 3:0 იუვენტუსი

1:0 ფირიკანო (30), 2:0 ოლივეირა (34), 3:0 რობიატი (74)

### ლაციო 3:0 ინტერი

1:0 ფუზერი (25), 2:0 ბოკშიჩი (29), 3:0 კაზირაგი (81)

### მილანი 3:1 ემპოლი

1:0 ვეა (3), 2:0 განცი (15), 2:1 ესპოზიტო (65), 3:1 მანიერო (82)

### ნაპოლი 0:2 რომა

0:1 ტოტი (53), 0:2 დი ბიაჯო (62)

### პარმა 2:1 ვიჩენცა

0:1 ამბროზეტი (59), 1:1 სტანიჩი (62), 2:1 კიეზა (72პ)

### სამპდორია 0:3 უდინეზე

0:1, 0:2 იორგანსენი (35, 62პ), 0:3 სტატუტო (85)

სერია A-ს კენწეროში ორი ბომბი აფეთქდა, „იუვენტუსმა" და „ინტერმა" ერთნაირად წააგეს — 0:3. ლიდერმა „ფიორენტინასთან" ფლორენციაში წააგო და ეს მარცხი მისთვის სეზონში მეორე გამოდგა, „ინტერმა" „ლაციოსთან" დახარა თავი. ბუნებრივია, მათ შორის ქულათა სხვაობაც არ შეცვლილა.

„არტემიო ფრანკის" სტადიონზე, პირველ ტაიმში ალდო ფირიკანომ და ლუის ოლივეირამ დაცხრილეს ტურინელთა მეკარის ანჯელო პერუცის კარი, შესვენების შემდეგ კი ანსელმო რობიატომ დაუსვა ლიდერის რბევას წერტილი.

ახლა სერია A-ში ისეთი ვითარებაა, წლების მანძილზე რომ არ ყოფილა. ჩახედეთ ცხრილს, ამდენი „სკუდეტოზე" დაგეშილი გუნდი ერთად?

11 შეხვედრაში დაუმარცხებელი „ლაციო" ქულებით „ინტერს" გაუტოლდა. სხვაობა მხოლოდ გატანილ-გაშვებულიღა რჩება. შემდეგაა „უდინეზე".

დისკვალიფიცირებული გერმანელი ვარსკვლავის, ოლივერ ბირჰოფის შემცვლელმა დანიელმა მარტინ იორგანსენმა კოლეგის არყოფნა არ დაატყო უდინელთა გუნდს. მან ორი გოლი შეაგდო „სამპდორიას" კარში, რომელშიც სულ სამი გავიდა.

მოედანს დაუბრუნდა ბოლო ხანს მიკარგული ჟორჟ ვეა. მილანელმა ლიბერიელმა 7 დეკემბერს ზურგი იტკინა და მას მერე მკურნალობდა. გამოჯანმრთელებულს სულ სამი წუთი დასჭირდა გოლის გატანის ჩვევის აღსადგენად. საბოლოოდ „მილანმა" „ემპოლის" 3:1 აჯობა, მაგრამ კაპელოს ბიჭების ეს ზეიმი მაინც არ გამოდგა ულრუბლო, რადგან შავ-წითელთა ხორვატი ნახევარმცველი ზვონიმირ ბობანი წითელი ბარათის ძალით მოედნიდან მოკვეთეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 22 | 14 | 6 | 2 | 48:19 | 48 |
| ლაციო | 22 | 13 | 5 | 4 | 40:17 | 44 |
| ინტერი | 22 | 13 | 5 | 4 | 39:20 | 44 |
| უდინეზე | 22 | 12 | 6 | 4 | 43:27 | 42 |
| ფიორენტინა | 22 | 10 | 8 | 4 | 43:22 | 38 |
| პარმა | 22 | 10 | 8 | 4 | 36:22 | 38 |
| რომა | 22 | 10 | 8 | 4 | 39:26 | 38 |
| მილანი | 22 | 9 | 7 | 6 | 29:22 | 34 |
| სამპდორია | 22 | 9 | 7 | 6 | 39:38 | 34 |
| ბოლონია | 22 | 6 | 8 | 8 | 32:32 | 26 |
| ბრეშა | 22 | 6 | 5 | 11 | 28:34 | 23 |
| ბარი | 22 | 6 | 5 | 11 | 20:33 | 23 |
| ვიჩენცა | 22 | 6 | 5 | 11 | 23:43 | 23 |
| ემპოლი | 22 | 5 | 5 | 12 | 33:41 | 20 |
| პიაჩენცა | 22 | 3 | 11 | 8 | 16:27 | 20 |
| ატალანტა | 22 | 4 | 8 | 10 | 19:33 | 20 |
| ლეჩე | 22 | 3 | 3 | 16 | 16:52 | 12 |
| ნაპოლი | 22 | 2 | 4 | 16 | 15:50 | 10 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოლივერ ბირჰოფი (უდინეზე) | 17 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 15 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 15 |
| მონტელა (სამპდორია) | 14 |
| რონალდო (ინტერი) | 14 |
| აბელ ბალბო (რომა) | 13 |
| რობერტო ბაჯო (ბოლონია) | 13 |

### სერია B

23-ე ტური. მონცა — ტრევიზო 1:1; ანკონა — რავენა 0:2; კალიარი — ვერონა 2:1; კიევო — ჯენოა 0:1; ფანრია — დი სანგრო 1:0; პადოვა — ლუკეზე 1:1; პერუჯა — ვენეცია 2:0; რეჯანა — სალერნიტანა 0:1; რეჯინა — ფოჯა 0:0; ტორინო — პესკარა 0:1

## ესპანეთი

XXVI ტური

### ტენერიფე 4:3 რეალი

1:0 ხუანელე (24), 1:1 რობერტო კარლოსი (46), 1:2 მიატოვიჩი (63პ), 2:2 კოდრო (66პ), 2:3 სავიო (76), 3:3 მაკაი (84), 4:3 კოდრო (87პ)

### ბეტისი 1:3 ესპანიოლი

0:1 ბენიტესი (14), 1:1 იარნი (42პ), 1:2 ბენიტესი (63), 1:3 არტეაგა (73)

### სალამანკა 3:1 მერიდა

1:0 ჯიოვანელა (4), 2:0 პოპესკუ (18), 3:0 რეკენდე (26), 3:1 სინვალი (68პ)

### სოსიედადი 2:2 ოვიედო

0:1 დელი ვალდესი (28), 1:1 კრაიოვეანუ (33), 2:1 კოვაჩევიჩი (79), 2:2 ივანი (84)

### ვალენსია 2:1 სელტა

1:0 ფარინოსი (44), 2:0 მენდიეტა (50), 2:1 კადეტე (62)

### დეპორტივო 3:0 ბილბაო

1:0 არმანდო (54), 2:0 მაიკელი (58), 3:0 კარლოსი (84)

### სპორტინგი 1:2 ვალიადოლიდი

0:1 ჩემა (15), 0:2 პეტერნაჩი (25), 1:2 ტროტა (89)

### მალიორკა 2:1 რასინგი

1:0 სიერა (83), 1:1 კორეა (86), 2:1 რომერო (87)

### ბარსელონა 2:0 კომპოსტელა

1:0 ფიგუ (15), 2:0 ლუის ენრიკე (30)

### ატლეტიკო — სარაგოსა

დღეს გაიმართება

ახლა „ბარსას" მდევარ — ჩემპიონ მადრიდის „რეალზე" თამაშით ნაკლები და ორი ქულით მეტი აქვს. „რეალმა" „ტენერიფესთან" დრამატულ შეხვედრაში 3:4 წააგო.

აღსანიშნავია, რომ კატალონიელთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა „კომპოსტელას" წინააღმდეგ ათამაშა იგივე შემადგენლობა, რომელმაც გასულ ოთხშაბათს „სარაგოსასთან" თასის ნახევარფინალში 5:2 მოიგო.

თამაშის მე-8 წუთზე „ბარსას" სასარგებლოდ დაინიშნა პენალტი — ერნანდესმა ლუის ენრიკე საჯარიმოში წააქცია. თერთმეტმეტრიანის დარტყმა რივალდომ ითავა, მაგრამ ძელს გაარტყა ბურთი. მიუხედავად ამისა, კატალონიელებმა მალე გახსნეს ანგარიში, როდესაც ლუიშ ფიგუმ ფერნანდო კოუტუს ჩაწოდებულს თაურით მიუჩინა ადგილი „კომპოსტელას" კარში. ამის შემდეგ რამდენიმე შანსი ლუის ენრიკემ გაუშვა ხელიდან, მაგრამ ერთი ხნის შემდეგ ოსკარ გარსიას პასით სეზონში თავისი მე-15 გოლი გაიტანა.

„რეალი" შესვენებაზე 0:1 ჩამორჩენილი გავიდა. აკრობატული გოლი ხუანელემ შეუგდო. ძალამოკრებილმა „სამეფო გუნდმა" მეორე ტაიმში რობერტო კარლოსის შემწეობით გაქვითა. ეს გოლი ძალიან ჰგავდა 1978 წელს, სეზონის ბოლო შეხვედრაში ვლადიმერ გუცაევის მიერ მოსკოვის „ტორპედოს" კარში გატანილს. შემდეგ აქეთ-იქით პენალტებმა 2:2 გახადა ანგარიში, მაგრამ სავიომ „რეალი" დააწინაურა. თურმე დროებით. 10 ფეხბურთელით დარჩენილმა ტენერიფემ ჯერ გაქვითა, მერე კი პენალტით გამარჯვებაც იზეიმა.

— ასე ვერასდროს ვერაფერს მოვიგებთ, — თქვა „რეალის" პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 25 | 15 | 4 | 6 | 52:35 | 49 |
| რეალი | 26 | 13 | 8 | 5 | 47:30 | 47 |
| სოსიედადი | 26 | 11 | 11 | 4 | 41:24 | 44 |
| მალიორკა | 26 | 11 | 9 | 6 | 38:22 | 42 |
| ატლეტიკო | 25 | 11 | 8 | 6 | 52:32 | 41 |
| სელტა | 26 | 12 | 5 | 9 | 36:31 | 41 |
| ბილბაო | 26 | 10 | 10 | 6 | 32:31 | 40 |
| ესპანიოლი | 26 | 9 | 11 | 6 | 32:19 | 38 |
| ვალენსია | 26 | 11 | 4 | 11 | 39:33 | 37 |
| ბეტისი | 24 | 10 | 7 | 7 | 32:32 | 37 |
| სარაგოსა | 25 | 9 | 8 | 8 | 35:41 | 35 |
| დეპორტივო | 26 | 7 | 12 | 7 | 29:27 | 33 |
| ოვიედო | 26 | 7 | 12 | 7 | 28:32 | 33 |
| ვალიადოლიდი | 25 | 9 | 5 | 11 | 24:35 | 32 |
| რასინგი | 26 | 8 | 6 | 12 | 29:37 | 30 |
| ტენერიფე | 26 | 7 | 7 | 12 | 30:44 | 28 |
| მერიდა | 26 | 7 | 7 | 12 | 25:39 | 28 |
| სალამანკა | 26 | 7 | 6 | 13 | 21:30 | 27 |
| კომპოსტელა | 26 | 6 | 9 | 11 | 33:44 | 27 |
| სპორტინგი | 26 | 1 | 3 | 22 | 22:59 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ლუის ენრიკე (ბარსელონა) | 15 |
| რივალდო (ბარსელონა) | 14 |
| კრისტიან ვიერი (ატლეტიკო) | 14 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 12 |

### მეორე დივიზიონი

28-ე ტური. ალბასეტე — ტოლედო 3:1; ეიბარი — ვილიარეალი 0:0; ლას პალმასი — რაიო 2:0; ლეიდა — ერკულესი 2:1; ორენსე — ოსასუნა 2:0; ხაენი — ლევანტე 0:0; სერესი — ალავესი 0:1; ელჩე — ლეგანესი 1:1; ესტრემადურა — ატლეტიკო 2:1; ბადახოსი — სევილია 2:0; ლოგრონიესი — ნუმანსია 2:0

დარჩა
FRANCE 98
108 დღე

## ფუტიქსის დროშით
# ევროპას ვერ მოატყუებ!



მსოფლიოს პირველობის საორგანიზაციო კომიტეტი მოახლოებულ თამაშებზე დასასწრებ ბილეთებს მონოპოლიზაციას უკეთებს. ამით გაღიზიანებული, სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ფედერაციები ჩივიან. მათ არ მოსწონთ, რომ საფრანგეთს გარეთ ბილეთთა ძალიან მცირე ნაწილი გაიყიდება. პრობლემის გადასაჭრელად მსოფლიოს ჩემპიონატის ევროკომისიამ მუქარას მიმართა, ფრანგ ორგანიზატორებს შეუთვალა საკითხი დროულად მოაგვარეთ, თორემ დაგაჯარიმებთო.

კომისიას, ევროკავშირის ანტიტრასტულ ზედამხედველს, უფლება აქვს აგრეთვე შეჯიბრების შემოსავლიდან ათი პროცენტი ჩამოთალოს. ცხადია, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ იგი ჩათვლის, რომ ორგანიზატორები ანტიტრასტულ კანონებს არღვევენ.

ორი დღის წინ, საორგანიზაციო კომიტეტის ბილეთების გავრცელების შეფს, იზაბელ დელეის ოფიციალური წერილი მიუვიდა. წერილში მკაფიოდ ეწერა, რომ გაუგებრობის აღმოსაფხვრელად კომისია 15 დღიან ვადას იძლევა. იქვე იყო ჩამოთვლილი საკითხის მოსაგვარებელი კონკრეტული ნაბიჯები.

პრობლემა რიცხვებით ასე გამოისახება: ფრანგებმა იფიქრეს, ბილეთების 60 პროცენტს ჩვენ დავიტოვებთ, დარჩენილ 40-ს კი ეროვნულ ფედერაციებსა და 17 ტურისტულ კომპანიას გავუნაწილებთო. ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, ჰოლანდიისა და ბელგიის უპრინციპულეს შეხვედრას, „სტად დე ფრანსზე" რომაა დანიშნული, მხოლოდ 7 ათასი ჰოლანდიელ-ბელგიელი დაესწრება. არადა, სტადიონზე 80 ათასი ადამიანი იქნება.

ევროკონკურენციის შეფმა კარელ ვან მიერტმა თქვა, რომ ის უცხოელები, რომელთაც მსოფლიოს პირველობის თამაშებზე დასასწრები ბილეთების შეძენა სურთ, იძულებულნი არიან ინტერნეტის საშუალებით დაუკავშირდნენ ფრანგულ კომპიუტერულ სისტემა „მინიტელს" და თან საფრანგეთის მისამართები მიუთითონ, რისთვისაც 500-550 ფრანკს ანუ 82 დოლარს იხდიან.

დღეისათვის საორგანიზაციო კომიტეტი თავს იმით იმართლებს, რომ საფრანგეთი არნახული მასშტაბის შეჯიბრებას მასპინძლობს, რომელშიც 32 გუნდი იღებს მონაწილეობას და ამიტომ შედარებით პატარა სტადიონები იძულებულნი არიან ბილეთების განაწილებისას ერთგვარი შეზღუდვები შემოიღონ.

ვან მიერტმა უარჰყო ხმები, თითქოს ბილეთები უკვე გაყიდულია და დღეს ხმაურის ატეხვას აზრი აღარ აქვს.

— ვეჭვობ, ყველა ბილეთი უკვე გაყიდული იყოს — თქვა მან და არ დაადასტურა, რომ ბელგიის ფეხბურთის ფედერაცია 10 ათას ბილეთს ტურისტულ კომპანიებს ცეცხლის ფასად აძლევდა. მანვე განმარტა, რომ ორგანიზატორები ვალდებულნი არიან ბილეთების გაყიდვა კომპიუტერით აკონტროლონ, დააფიქსირონ რამდენია გაყიდული და სად და დარჩენილი ბილეთები ეროვნულ ფედერაციებს დაუბრუნონ.

ორგანიზატორები კარგს იზამენ თუ უცხოეთთან ვაჭრობისთვის პირდაპირ სატელეფონო ხაზს მოაწყობენ და მიუთითებენ საფრანგეთს გარეთ გასაყიდ ბილეთთაგან რამდენია დარჩენილი.

— ჩვენ ერთადერთი, რაც გვსურს ისაა, რომ რაც შეიძლება მეტმა ევროპელმა მოქალაქემ შეძლოს მსოფლიოს პირველობის თამაშებზე დასწრება — ბრძანა ბოლოს ვან მიერტმა, რომელმაც ერთხელაც გაიმეორა, რომ პატიოსანი კონკურენციის წეს-კანონთა დარღვევისთვის ფრანგი ორგანიზატორები შესაძლოა ფრიად დაჯარიმდნენ.

## ნორვეგია

მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი საფრანგეთი 25 თებერვალს მეორე შეხვედრას გამართავს — მარსელში ნორვეგიელებს უმასპინძლებენ. ფრანგებს ნაკრების შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებიათ, მაგრამ ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ერთ-ერთმა მეტოქემ, ნორვეგიამ, გუშინ სანაკრებო 16 ფეხბურთელი დაასახელა.

სკანდინაველთა მწვრთნელმა ეგილ ოლსენმა, რომლის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიასთან, მაროკოსთან და შოტლანდიასთან ერთად ითამაშებს, ნაკრებში პირველად უხმო ავსტრიულ „ლასკში" მოთამაშე ვიდარ რისეტს. ოლსენმა გუნდში დააბრუნა „საუთჰემპტონის" ეგილ ოსტენსტადი და „ბლექბერნის" ლარს ბოჰინენი. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ნაკრებში 1996 წლის ოქტომბრის შემდეგ აღარ გამოჩენილა.

გუნდი: მეკარეები — ტომას გილი (დუისბურგი), ფროდ გროდასი (ტოტენჰემი); მცველები — სტიგ ინგე ბიორნებიუ (ლივერპული), ალფ ინგე ჰაალანდი (ლიდსი), ჰენინგ ბერგი, რონი იონსენი (მანჩესტერი), კლაუს ლუნდეკვამი (საუთჰემპტონი); ნახევარმცველები — ლარს ბოჰინენი (ბლექბერნი), ვეგარდ ჰეგემი (როსენბორგი), ერიკ მიუკლანდი (პანათინაიკოსი), ბენტ სკამელსრუდი (ლევერკუზენი); თავდამსხმელები — ტორე ანდრე ფლო (ჩელსი), პეტერ რუდი (შეფილდი), ოლე გუნარ სოლსკაერი (მანჩესტერი), ფრენკ სტარნდლი (პანათინაიკოსი), ვიდარ რისეტი (ლასკი).

## ბელგია

ოთხშაბათს ბელგიელები აშშ-ის გუნდთან მოსინჯავენ ძალას. საამისოდ მათმა მწვრთნელმა ჟორჟ ლიკენსმა 19 ფეხბურთელი დაიბარა, რომელთა შორის არაა ცნობილი ნახევარმცველი ენცო შიფო. ეს ლიკენსმა ექსპერიმენტით ახსნა. ექსპერიმენტული იქნება აგრეთვე 25 მარტის თამაში ნორვეგიასთან და 22 აპრილს რუმინეთთან.

მაინც, შიფოს არყოფნას არავინ ელოდა... მწვრთნელის გარდა. მან თქვა, აქ უცნაური არაფერიაო.

თვალშისაცემია „ლიერსის" მცველის ერიკ ვან მეირის ბანაკს მიღმა დატოვებაც.

ერთადერთი ახალწვეულია 28 წლის მეკარე რონი გასპერჩიჩი „ჰარელბეკიდან". რაც შეეხება „ეკერენის" მანუ კარაგიანისს და „უდინეზეს" იოჰან ვალემს, მათ ეროვნულ გუნდში 1995 წლის მერე არ უთამაშიათ.

19 მოთამაშეს შორის ხუთი ბელგიის პირველობის ლიდერის, „ბრიუგეს" წევრია, სკანდალებში გახვეული „ანდერლეხტიდან" კი ერთი კაციც არ არის. როგორც ვიუწყებოდით, „ანდერლეხტი" 1984 წელს გაეხვია ქრთამის ისტორიაში, რომელიც ახლა ამოუქექეს და ამის გამო პირველსავე წელიწადს ევროთასებზე გასვლის უფლებას რომ მოიპოვებს, დისკვალიფიცირებული იქნება.

ბელგიელთა შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — ფილიპ დე ვილდე (სპორტინგი, პორტუგალია), რონი გასპერჩიჩი (ჰარელბეკი); მცველები — ვიტალ ბორკელმანსი (ბრიუგე), ჟოფრეი კლაისი (ფეიენოორდი, ჰოლანდია), ბერტრან კრასონი (ნაპოლი, იტალია), ერიკ დეფლანდრე (ბრიუგე), ფილიპ ლეონარდი (მონაკო, საფრანგეთი), ლორენცო სტალენსი (ბრიუგე), გორდან ვიდოვიჩი (მუსკრონი); ნახევარმცველები — დენი ბოფინი (მეცი, საფრანგეთი), ფრენკი ვან დერ ელსტი (ბრიუგე), იოჰან ვალემი (უდინეზე, იტალია), მარკ ვილმოტსი (შალკე, გერმანია), მანუ კარაგიანისი (ეკერენი); თავდამსხმელები — ლუის ოლივეირა (ფიორენტინა, იტალია), ლუკ ნილისი (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ლოკონდა მპენზა (სტანდარდი).

### ამხანაგური მატჩები

**აშშ 0:2 ჰოლანდია**

აშშ: კელერი, პერკსი, ეგოსი, ლალასი, ბარნსი, სტიუარტი, მური, რეინა, კიროვსკი (ვინალდა 63), რადოსავლევიჩი (ლესიტერი 63), ეგერლე (ჯოუნზი 46)

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი, ფ. დე ბური, ნუმანი, იონკი, ვინტერი (ბოგარდი 46), რ. დე ბური, ზეედორფი, მოლსი (მუიდონკი 72), კოკუ

0:1 რ. დე ბური (2), 0:2 ზეედორფი (46)

**საუდის 0:3 გერმანია**

0:1 მიოლერი (19), 0:2 ჰელმერი (73), 0:3 მარშალი (90)

### აფრიკის თასი '98. მეოთხედფინალი

# ზოგი პენალტს ვერ იტანს

**ეგვიპტე 0:0 კოტ დივუარი (პენ. 5:4)**

**ეგვიპტე: ალ საედი, ალ საქა, ომარა, რამზი, იბრაჰიმი, რადვუდი, ჰასანი, ელ შისინი (ნაბიჰი 65), საბრი, იმამა, ჰოსამი**

**კოტ დივუარი: გვაპილა, დიომენდი, ზერა, დიაბეტე, ენგენი, გუელი, დომორო, ბაკაიოკო, სიე, ლასისი (კონე 87), ტიეი (აჰმედი 73)**



12 წლის წინ აფრიკის თასის გათამაშებას ეგვიპტემ უმასპინძლა. მაშინ კონტინენტის ჩემპიონობა მასპინძლებმა მოიგეს, იქიდან მოყოლებული კი ეგვიპტელები ნახევარფინალშიც ვერ გადიოდნენ. 12 წლის შემდეგ, შაბათს, როგორც იქნა ასრულდა ეგვიპტელთა ოცნება — გუნდმა ნახევარფინალს უწია. ისე, შესაძლებელი იყო, მათთვის დანავსული სერია კვლავ გაგრძელებულიყო და თასისთვის ბრძოლას კოტ დივუარი შემორჩენოდა, მაგრამ, სპილოს ძვლის ნაპირელთა სამწუხაროდ, იბრაჰიმ დიომენდიმ პენალტის გატანა ვერ მოახერხა და მათაც გზა ეგვიპტელებს დაუთმეს.

ძალიან ცუდი მატჩი, უაზრო ფეხბურთი — მხოლოდ ეს ითქმის ამ შეხვედრაზე. მეტოქეები ყველაფერს აკეთებდნენ, გოლი რომ არ გაეშვათ. ან რა ჰქონდათ საშიში, როცა ორივე გუნდი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე გოლის შეგდებაზე. აი, თუნდაც ეგვიპტელები ავიღოთ — მთელი საათნახევრის და კიდევ დამატებითი ნახევარი საათის მანძილზე ალ საედს კარის დაცვაში კიდევ ცხრა თანაგუნდელი ეხმარებოდა, წინ კი კოტ დივუარელთა დაჯაბნას ეულად ცდილობდა თასის გათამაშების ბომბარდირი ჰასან ჰოსამი. იგი მეტოქესთან რომ ვერაფერს გახდა, იმ სამი კოტ დივუარელი მცველის დამსახურებაა, თავდამსხმელს სანტიმეტრითაც რომ არ შორდებოდა და ლამის იყო, მატჩისშემდგომი პენალტების დროსაც გააგრძელეს მისი მეურვეობა.

პირველ ტაიმში ორად ორი სახიფათო მომენტი შეიქმნა. ვითარება არც შესვენების შემდგომ შეცვლილა. ეს ერთი უაზრო და უინტერესო თამაში გახლდათ, რომლის დარი მატჩები აფრიკის თასის გათამაშებისთანა ტურნირებს, რბილად რომ ვთქვათ, სახელს უტეხს.

დამატებით დროში მეტოქეებმა საერთოდ აიღეს ხელი შეტევაზე და დადგა პენალტების დროც. პირველი დარტყმის უფლება კოტდივუარელებს ერგოთ და იბრაჰიმ ბაკაიოკომ თითქმის ორსაათიანი თამაშის შემდეგ პირველად შეარხია კარის ბადე. ეგვიპტელები რამდენიმე წამით ჩამორჩნენ. ნელ-ნელა გუნდებმა ოთხ-ოთხი პენალტის გატანაც მოახერხეს, ბოლო, მეხუთე 11-მეტრიანის დროს კი კოტ დივუარელებს არ გაუმართათ — იბრაჰიმ დიომენდიმ ძლიერად დაარტყა, ნადერ ალ საედის ნახტომი და ... გოლი არ გავიდა. ეგვიპტელებმა ასეთი შანსი ხელიდან აღარ გაუშვეს, ჰაზემ იმამმაც შეაგდო და „ფარაონებიც" ნახევარფინალში გავიდნენ.

— გაგვიმართლა. იღბალმა არ მიგვატოვა და თამაში მოგვაგებინა. ეს ჩვენთვის დაუვიწყარი დღეა. თავი სიზმარში მეგონა, რადგან ძლიერ ვღელავდი მატჩის წინ. არ მეგონა, შეხვედრა ასეთი დაძაბული თუ გამოდგებოდა, ჩვენ ხომ უკვე 12 წელიწადია, თასის ნახევარფინალში არ გავსულვართ. ეგვიპტე მართლაც კარგი გუნდია. თუ ასე გავაგრძელეთ, მერწმუნეთ, ერთ-ორ წელიწადში ჩვენი ნაკრები საკმაოდ ძლიერი გუნდი იქნება. კარგი ფეხბურთელები ახლაც გვყავს და ახალი თაობაც საიმედო მოდის. ეგვიპტის ფეხბურთს დიდი მომავალი აქვს — განაცხადა გამარჯვებულთა მწვრთნელმა მაჰმუდ ალ გოჰარიმ, რომელსაც ახალგაზრდობისას ნაკრებშიც უთამაშია. ისე, ეგვიპტე 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში რომ მონაწილეობდა, სწორედ მისი დამსახურებაა. მაშინ იგი ნაკრებს თავკაცობდა, მაგრამ შემდეგ წრეში რომ ვერ გავიდნენ (ეგვიპტემ ჰოლანდიასთან და ირლანდიასთან ფრედ ითამაშა, ინგლისთან კი მინიმალური ანგარიშით წააგო), ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მისი ნაკრებში დატოვება მიზანშეუწონლად მიიჩნია და გაათავისუფლა. ეს უდიდესი შეცდომა იყო. აღმავლობის გზაზე მდგარ გუნდს ალ გოჰარის წასვლისთანავე დაეწყო კრიზისი, რომელსაც თავი კარგა ხანი ვერ დააღწია. ორიოდ თვის წინ ნაკრები კვლავ ალ გოჰარის ჩააბარეს და გუნდის პროგრესიც საგრძნობი გახდა. ამის თაობაზე ეგვიპტელთა უპირველესმა ბომბარდირმა ჰასან ჰოსამმაც გამოთქვა მოკრძალებული აზრი — გასულ წლებში ჩვენ მწვრთნელთა ცვლა გვღუპავდა, თორემ ამდენი დრო კრიზისიდან თავის დასაღწევად კი არა, პირიქით, გუნდის გასაძლიერებლად უნდა გამოგვეყენებინაო. 31 წლის ჰოსამმა, რომელიც ქვეყნის ღირსებას 1986 წლიდან რეგულარულად იცავს, ისიც დასძინა, მართალია ნაკრები საფრანგეთში ვერ ითამაშებს, მაგრამ ეგვიპტე რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე იქნება, ეჭვი არ მეპარებაო.

მოკლედ, ეგვიპტელებმა, რომელთაც, მწვრთნელის თქმით, რამდენიმე წელიწადში ყველა გაუწევს ანგარიშს, დიდი გაჭირვებით სძლიეს მეტოქეს და ნახევარფინალს უწიეს. ფინალამდე მათ ერთი ნაბიჯი რჩებათ, რომლის გადალახვაც თითქოს ძნელი არ უნდა იყოს, რადგან მათი შემდგომი მეტოქე მასპინძელთა არცთუ ძლიერი გუნდია. ბურკინა ფასოელებმა მართალია მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ტუნისი სძლიეს, მაგრამ არც მეტოქე წყვეტდა ციდან ვარსკვლავებს. ეგეც არ იყოს, ისეთმა რიგითმა გუნდმა, როგორიც ბურკინა ფასოა, საეჭვოა, ყველა ფავორიტი დაჯაბნოს. მათ წარმატებულ სვლას რაღაც მომენტში წერტილი დაესმება, მოსალოდნელია, ეს ნახევარფინალში ეგვიპტესთან მოხდეს.

...სხვათაშორის კოტდივუარელმა ჟოელ ტიეიმ მეექვსედ ითამაშა აფრიკის თასზე.

**ბურკინა ფასო 1:1 ტუნისი (პენ. 8:7)**

**ბურკინა ფასო: დიარა, ფ. სანუ, ლიადე, ტალე, ბარო (დიაბატე 54), ნანა, ბ. ტრაორე, კამბუ (ო. სანუ 64; კულიბალი 82), ზონგო, ს. ტრაორე, უდრაოგო**

**ტუნისი: ბუმნიჯელი, ბადრა, ტრაბელსი, ჰიჩერი, ბუაზიზი, გოდბენი, საბანი (ბეია 46), ჩიჰი, გაბსი, ბენ სლიმენი (ჟელასი 62), ტლემკანი (რუისი 66)**

**1:0 უდრაოგო (453), 1:1 გაბსი (89)**

თურმე რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია შინ თამაშს. ბურკინა ფასო, რომელიც მუდამ აფრიკის ჩამორჩენილ გუნდთა მარაქაში მოიხსენიებოდა და ვისაც ამ ტურნირამდე ნათამაშევ კონტინენტის ორ პირველობაში ვერც ერთი მატჩი ვერ მოეგო, ნახევარფინალში გავიდა, თანაც მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე სძლია. არა, საკუთარ მინდორზე თამაში მართლაც დიდი პრივილეგიაა და ამასთან ერთად მეტოქესთან დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობის ქონასაც ნიშნავს. ამის დასტურად ეს შეხვედრაც გამოდგება — ტუნისი მართალია დიდი ვერაფერი გუნდია, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ნეიტრალურ მინდორზე რომ ეთამაშო, ბურკინა ფასოს ათიდან ცხრა თამაშს მოუგებს, ამჯერად კი ასე არ მოხდა. მასპინძლები სტუმრებს არანაირად არ სჯობნიდნენ, პირიქით, ზოგიერთ კომპონენტში ჩამოუვარდებოდნენ კიდეც, მაგრამ 40 ათასამდე გულშემატკივარის მხარდაჭერამ ბურკინაფასოელთ ფრთები შეასხა, საკუთარ სიძლიერეში დაარწმუნა, რწმენა კი, დამეთანხმებით, დასახული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი უმთავრესი საწინდარია.

მოკლედ, მასპინძელთა გუნდი ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ ამას თითქმის სამსაათიანი დაძაბული მატჩი და უდიდესი ვნებათაღელვა უსწრებდა წინ. ერთი პირობა შეხვედრა კინაღამ ჩაიშალა — როცა ტუნისელმა ჰასან გაბსიმ ანგარიში გაათანაბრა, გულშემატკივართა მოედანზე შეჭრის საბაბიც მიეცათ, თუმცა პოლიციის გულადი მოქმედებისა და ქომაგთ გარკვეული ნაწილის თავშეკავებულობის წყალობით ინციდენტი არ მომხდარა.

ანგარიშის გახსნა მაინც მასპინძლებს ხვდათ წილად — კალედ ბადრამ სედუ ტრაორეს კართან უფრო მიახლოვება არ აცალა და ეუხეშა. პენალტი აშკარა იყო. ზუსტი და ძლიერი გამოდგა გერმანულ „ოსნაბურკში" მოთამაშე კასუმ უდრაოგოს დარტყმაც. რამდენიმე წამში მსაჯმა ფეხბურთელები დასასვენებლად იხმო.

განახლდა მატჩი და მასთან ერთად ნერვების წყვეტაც. გუნდები ყველანაირად ცდილობდნენ სასურველი შედეგების მიღწევას — ბურკინაფასოელები უპირატესობის გაზრდას, ტუნისელები კი თავის მხრივ ანგარიშის გაყამებას. მიუხედავად ამისა, ტუნისელთა გოლს საშველი არ დაადგა, 89-ზე კი ჰასან გაბსის დარტყმული დიარას კარში შევარდა. ძალიან მძიმეა, როცა საათნახევარი ნალეწი და ნაჯაფარი ნამებში წყალში გეყრება. საფინალო სასტვენამდე კიდევ ხუთი წუთი რომ ყოფილიყო, ნახევარფინალში ტუნისი გავიდოდა, რადგან გაბსის გოლმა მასპინძლები შოკში ჩააგდო, მაგრამ, მათდა სასიხარულოდ, შეხვედრაც წამებში დასრულდა. გამარჯვებულის გამოსავლენად მეტოქეთ კიდევ ნახევარი საათი მოუწიათ ბრძოლა, თუმც ვერც ამჯერად გამოვლინდა გამარჯვებული და ჯერი ნაცად პენალტების სერიაზე მიდგა.

მონაწილეთათვის ყველაფერი კარგად მიდიოდა, ფეხბურთელები მიზანს აღწევდნენ, თუმცა პენალტების დასასრულიც დადგა — ტუნისელთა კაპიტანმა სამი ტრაბელსიმ თანაგუნდელთა მერვე დარტყმა გააფუჭა, მასპინძლებს კი მანამდე გაეტანათ. ცხადია, ნახევარფინალის საგზური ბურკინა ფასოს დარჩა, პირველად ისტორიაში.

...აფრიკის თასის გათამაშებამდე ტუნისი ამხანაგურ მატჩებში ავსტრალიასთან და იუგოსლავიასთან დამარცხდა. ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტის გათამაშებიდან გამოთიშვამ და ადრინდელმა წაგებებმა კი, არაა გამორიცხული, გუნდის პოლონელი მწვრთნელი ანრი კაშპერშაკი შეიწიროს. მით უმეტეს, ხმები დაირხა, ტუნისელთა ხელმძღვანელობა მსოფლიოს ჩემპიონატამდე შეიძლება შეიცვალოსო.

**ს. აფრიკა 2:1 მაროკო**

**ს. აფრიკა: ბალუი, რაბუტლა, ჯეკსონი, ფიში, მოშოუ (ფორტუნი 82), მკალელე (საილენტი 32), ავგუსტინი, ნიატი, მაკართი, მოეტი, რადებე**

**მაროკო: ელ ბრაზი, ალ ჰადრიუ, როსი (ტაჰარი 56), ნაიბეტი, ჰაჯი (ბაჰჯა 67), ჩიბა, აბრამი, აზუზი, ჩიპო, ფერტუტი, ელ ხატაბი (უაკილი 80)**

**1:0 მაკართი (22), 1:1 ჩიბა (36), 2:1 ნიატი (79)**

მეოთხედფინალებიდან მსოფლიოს ჩემპიონატის ორი მონაწილის დაპირისპირება ყველაზე საინტერესო გამოდგა — მატჩი წინამორბედებს ყველანაირად სჯობდა. შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული გამოდგა, თან საბოლოოდ ძლიერმა იმარჯვა. აფრიკის მფლობელმა აშკარად დაჩაგრა მაროკო.

...აიაქსელ ბენი მაკართის ჯგუფურ ტურნირში ოთხი გოლი გაეტანა, თუმცა სამ მატჩში კი არა, ერთში. ამჯერად ბენედიქტმა ანგარიში გახსნა და ბომბარდირთა ლიდერ ჰასან ჰოსამსაც წამოეწია. ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, მაროკოელებმა გაყამება მალე მოახერხეს. ჩიბას გოლიდან მოყოლებული მეტად თვალსაჩინო თამაში დაიწყო, რომლის დროსაც მეტოქეთ მინიმუმ სამ-სამი საგოლე შანსი ჰქონდათ, მაგრამ მატჩის მიწურულამდე რატომღაც არ უმართლებდათ. მიუხედავად ამისა, შაბათს გამართული მეოთხედფინალებისგან განსხვავებით, გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების დანიშვნა არ გახდა საჭირო — დევიდ ნიატი მარცხნიდან შეიჭრა მაროკოელთა საჯარიმოში და უძლიერესი დარტყმით ელ ბრაზის გააბრაზა.

**ლაშა გოდუაძე**

**ნახევარფინალი**

25.02 კონგო — ს. აფრიკა
ბურკინა ფასო — ეგვიპტე

## თასი მსხვერპლს ითხოვს

აფრიკის გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტად სრულიად სამართლიანად ითვლებოდა ალჟირის ნაკრები, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად გუნდმა გათამაშება პირველსავე ეტაპზე დატოვა ჯგუფში ზედიზედ სამი მარცხის გამო. არავის ეგონა, თუ ალჟირელები ყველა მეტოქესთან წააგებდნენ. ეს ტურნირის ერთ-ერთი მოულოდნელობა იყო.

ცხადია, გუნდის ასეთი ჩავარდნა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას შეუმჩნეველი არ დარჩენია და შესაბამისი რეაქცია მოჰყვა — ნაკრების მთავარ მწვრთნელ აბდერაჰმან მეჰდუდს და მის ამქარს გუშინდლიდან გუნდში აღარაფერი ესაქმებათ, ისინი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ალჟირში ეს ცნობა რადიოს საშუალებით გავრცელდა, მოგვიანებით კი ტელევიზიითაც გადაიცა. ორივე საინფორმაციო საშუალებამ მიზეზად აფრიკის თასზე წარუმატებლობა და ქვეყნის ღირსების შერცხვენა დაასახელა. იქვე ითქვა, რომ ფეხბურთის ფედერაცია ნაკრების მწვრთნელს 15 დღეში დაასახელებს.

...1997 წელს მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის საგზურის ვერმოპოვებისთვის ქვეყნის ხელისუფლებამ მწვრთნელ ალი ფერგანს და მის თანაშემწეებს სამუდამოდ აუკრძალა ალჟირის ფეხბურთში მოღვაწეობა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წევრები კი სპორტში საქმიანობიდან ხუთი წლით მოკვეთეს.

ხუთი ერი აშკარად ორ, მკვეთრად გამიჯნულ დონედ დაყოფილა. ინგლისმაცა და საფრანგეთმაც ისეთი დღე აყარეს უელსსა და შოტლანდიას, რომ სხვაგვარად ვერც იფიქრებ კაცი.

# ბეკებით ვის მოუგია

უელსს ტვიკნმეში ათი წელი იყო, ვერ მოეგო. ინგლისს ახალ მწვრთნელ კლაივ ვუდვორდის თავკაცობით ზედიზედ ხუთ ტესტში ვერაფრით გაემარჯვა, თუმცა მეტოქეებიც ფრიადი ყავდა — სამივე სამხრეთ-ნახევარსფეროელი ბობოლა და საფრანგეთი. ერთი სიტყვით, კრიტიკოსების ჩასაჩუმებლად მოგება ორივე გუნდს ჰაერივით ჭირდებოდა.

მოიგო ინგლისმა, თან ისე, რომ მრავალი რეკორდი დაამყარა. მათგან მთავარი იყო ის, რომ „ხუთ ერში" 60 ქულა მანამდე არავის გაეტანა. დამყარდა ტესტ-რაგბის კიდევ ერთი, შეცვლების რეკორდიც. ახლებური, შვიდკაცა მარქაფა ორივე გუნდმა ლამის იყო სრულად გამოიყენა, ვუდვორდმა კი ორი ბითუმი, სამ-კაცა შეცვლაც განახორციელა.

ახალი ზელანდიის „ოლ ბლეკსის" მოძღვარ ჯონ ჰარტს უთქვამს, უელსზე უკეთესი ბეკები ეკვატორს ზემოთ არავისა ყავსო. სამაგიეროდ, მომავალი მსოფლიო თასის მასპინძლებს ჭერაც შესაკრები ყავთ რიგიანი შერკინება. ამიტომაა, რომ ოდენ აგრესიული 9 ნომერი ჰაულის, ნალიგარი გიბსისა და ბეიტმენის და კიდევ უნივერსალ გარეთ თომასის ამარა ვერ იმარჯვებენ.

სანამ სტუმართა მორკინალები ყოჩაღად იყვნენ, უელსი წინ იყო. არველ თომასის აბრაგანი მიწიდან უკულმა ასხლტა და ალან ბეიტმენმა პირველი ლელო გაიტანა, მისივე მეორე ლელო კი მეორე თომასის დამსახურება იყო, ბურთი საკუთარი კარის ხაზიდან რომ წაიღო და გზად ნახევარი ინგლისი გააცურა 6:12.

## სტუმართა ბლიც-რბევა

მერე ინგლისი გაცოფდა. პირველი ტაიმის დასკვნით 15 წუთში პომებმა ოთხი ლელო გაიტანეს. ყოველი მათგანი იმ სოლიდური პლატფორმიდან გავიდა, ფორვარდებმა რომ შეუქმნეს უკანა ხაზს: რიისი მიზანს გრინვუდის „ჭვარით" ეწია, ბეკმა დერეფანში შეკრული მოლი დააბოლოვა, ბრაკენმა გრინვუდის პასით იხეირა, ჰილს კი ჩაეთვალა ძალისმერი ლელო, რომელიც შერკინებამ შეთრევით გაიტანა 34:12.

ინგლისის მულატი ვარსკვლავი ჯერი გასკოტი ამ დღეს 50-ე კეპს იხვეჭდა. ვეტერანმა შუამარბმა შარშან გადასარევად ითამაშა „ლომების" ტრიუმფალურ აფრიკულ ტურნეზე, მერე კი ორი ოპერაცია გადაიტანა და მწყობრში ახლახანს, იანვრის შუაწელშიღა ჩადგა.

გასკოტმა ამჯერად გადასარევი გარღვევა მოაწყო მოკლე ფრთაზე და ბურთი რიისს შიგნით დაუბრუნა. სხვაობამ 30 ქულას რომ უწია, ორივე გუნდმა ლალი, შვიდკაცას ბადალი ბურთაობა გააჩაღა. უელსის მესამე ლელო 8-ფაზა იერიშით გავიდა. ბოლო მოქმედებაში ჰაულიმ შორს მიაწოდა ბურთი გარემარბ თომასს, მაგრამ რად გინდა: მალევე ჰიილიმ რიკოშეტით ისარგებლა და ჯენკინსს სიმარდეშიც აჯობა 41:19.

მერეც კარგი თამაში გაგრძელდა. გასკოტი ერთხელ ლელოში წააქციეს, მაგრამ ზურგზე დაეცა. მერე რიისმა სალელოე პასი დაუბრუნა მაღალ გრინვუდს. ახლად შესულმა 9 ნომერმა დოუსონმა მეტოქეთა ლიანგი მოაღორა, უელსის ბოლო შეტევა კი გიბსმა დააგვირგვინა. დასასრულ, მასპინძლები ცოტა რომ არ მოშვებულიყვნენ, ვინიცობაა უმაგალითო, 70 ქულისთვისაც ეწიათ მონაგარს.

ლუკა ჯორჯიაშვილი




## ხუთი ერი

II ტური. 21 თებერვალი

ლონდონი. ტვიკნემი. 70 ათასი მოსეირე

### ინგლისი 60:26 უელსი

(34:12). მსაჯი ჰოკი (ახალი ზელანდია)

ინგლისი: პერი; რიისი, გრინვუდი (დეგლენვილი 70), გასკოტი, ჰიილი; გრეისონი (კეტი 70), ბრაკენი (დოუსონი 70) — ლეონარდი, კოკრილი, ვიკრი (გარფორთი 56); ჯონსონი (გრუკოკი 56), არჩერი; დალალიო კაპ, ბეკი, ჰილი (დიპროუზი 56). — 8ლ: რიისი (29, 49), ბეკი (32), ბრაკენი (35), ჰილი (45, I ნახევარში), ჰიილი (57), გრინვუდი (69), დოუსონი (72); 7გ და 2ს (2, 26): გრეისონი

უელსი: ნ. ჯენკინსი; უოკერი (პროქტორი 5), ბეიტმენი (ლ. დევისი 64), გიბსი, გ. თომასი; ა. თომასი, ჰაული კაპ — ა. ლუისი (მუსტოუ 71), ბ. უილიამსი (ჰამფრიზი 64), იანგი; პლუელინი, ვოილი (სტივენსი 71); ჩარვისი, მ. უილიამსი, კვინელი (ეპლიარდი 51). — 4ლ: ბეიტმენი (10, 26), გ. თომასი (54), გიბსი (80); 3გ (-26): ჯენკინსი

ედინბურგი. მარიფილდი. 67 500 მოსეირე

### შოტლანდია 16:51 საფრანგეთი

(9:22). მსაჯი ობრაიენი (ახალი ზელანდია)

შოტლანდია: ლიი; სტეინჯერი, ტეიტი, ტაუნზენდი, ლოგანი; ჩალმერსი (ლონგსტაფი 65), არმსტრონგი კაპ — ჰილტონი (გრეემი 65), ბულოკი, სტიუარტი; კრონინი (გრაიმზი 20), ვიარი; უეინრაიტი, ჰოლმსი, უოლტონი (როკსბრო 65). — ლ: სტეინჯერი (69); გ და 3ს (5, 10, 24): ჩალმერსი

საფრანგეთი: სადურნი; ბერნა-სალი, ლამეზონი (ოკანი 41), გლასი, დომინისი; კასტენიედი, კარბონო — კალიფანო, იბანიესი კაპ, ტურნერი (სულეტი 75); ბრუზე, პელუ (კლედა 80); მ. ლივრმონი, მანი, თ. ლივრმონი (ბენეტონი 75). — 7ლ: მ. ლივრმონი (14, 21), ბერნა-სალი (33, 57), კალიფანო (46), კარბონო (82), კასტენიედი (84); 5გ: ლამეზონი (14, 21), კასტენიედი (57, 82, 84); 2ს: ლამეზონი (31), კასტენიედი (53)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 75:33 | 9-2 | 4 |
| ინგლისი | 2 | 1 | 0 | 1 | 77:50 | 9-6 | 2 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 33:67 | 2-8 | 2 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 16:17 | 1-1 | 0 |
| უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 26:60 | 4-8 | 0 |

დარჩენილი მატჩები

7.03. უელსი — შოტლანდია, საფრანგეთი — ირლანდია; 21.03. ირლანდია — უელსი, 22.03. შოტლანდია — ინგლისი; 4.04. ინგლისი — ირლანდია, 5.04. უელსი — საფრანგეთი

# სკოტები გააბითურეს

ფრანგები ფრთხილობდნენ. მარიფილდში ბოლო 20 წლის მანძილზე ერთადერთხელ გაემარჯვათ, ორი წლის წინ კი, ტურების თანმიმდევრობა წლევანდელს რომ ემთხვეოდა, შინ, ფავორიტი ინგლისის ძლევის შემდეგ სტუმრად მაჩანჩალა სკოტებთან დამარცხდნენ და ბოლოს ვერც ჩემპიონები გახდნენ.

შოტლანდიას ძველი მოძღვარი, ბებერი ჯიმ ტელფერი დაბრუნებია. ეს კაცი გუნდს ოდინდელ ყაიდაზე უპირებს ათამაშებას, რაკი მიაჩნია, რომ თუ ელემენტარულ რამეებს უსწოროდ აკეთებს, არც ულტრა-თანამედროვე, ტოტალურ, ლიგის-მაგვარ რაგბში ესაქმება რამე.

მარიფილდში მზიანი დარი იდგა. შოტლანდიამ ტრადიციულად რიხით დაიწყო. საწყის ათ წუთში სტუმარ „მამლებს" ბურთი ერთადერთხელ ქონდათ, ჩალმერსმა კი ორი იოლი საჯარიმო დაკრა 6:0.

ეს იყო და ეს. მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ფრანგებმა დაიწყეს ბურთის ხელით თამაში და სკოტებმაც თანდათან დაყვინეს. მართალია, მეტოქეს წინაალმდეგობას მედგრად უწევდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, რომ სტუმრებს რაგბის ყოველ კომპონენტში გვარიანად ჩამოუვარდებოდნენ.

გაინავარდა გაუპარსავმა გარემარბმა ფილიპ ბერნა-სალმა; დასცეს ზედ ლელოსთან. სტუმართა შერკინება თვალის დახამხამებაში იქ გაჩნდა, მეტოქეზე უკეთ დაიყუნცა და ბურთი ხაზს იქით გადაათრია 6:7. მერე ჩალმერსმა გააფუჭა მოძნელო საჯარიმო, ფრანგებმა კი კიდევ ლელო გაიტანეს: გუნდის გონმა, წრიპა თომას კასტენიდემა ჟან-ლიუკ სადურნი ჩართო იერიშში; ამან მარკ ლივრმონი შეგზავნა ლელოში, რასაც ჩალმერსმა საჯარიმო აჯახა 9:14.

## აულაგმავი ფლანკერი მანი

ფრანგებმა მერე კიდევ ხუთი ლელო გაიტანეს. ოთხი მათგანი ფლანკერმა ოლივიე მანმა გააჩალიჩა. თუ ვინმეს ეკუთვნოდა მატჩის საუკეთესო მოთამაშის ჯილდო, ისევ და ისევ შვიდკაცას ამ დიდოსტატს.

ლამეზონმა დაკრა საჯარიმო, მერე მანი ჩაება შეტევაში, ამან კი ბერნა-სალი კიდეზე დაგეზა 9:22. ჩალმერსმა კიდევ ერთი შანსი გაუშვა ხელიდან, ზედ შესვენების წინ კი ნალიგარმა ტეიტმა გაარღვია სტუმართა დაცვა, მაგრამ სკოტებმა დერეფანისეულ მოლში დაკარგეს ბურთი!

მეორე ნახევრის დასაწყისში ლათინები მონაპოვარის განმტკიცებას დაეშურნენ. დამრტყმელობა კასტენიედმა გადაიბარა, მაგრამ შორიდან ბურთი კარს ააცილა. მანამდე ფრანგი მორკინალები მასპინძლებს მიეძალნენ, ბურჯი კალიფანო კი სალელოე პოზიციაზე ისევ და ისევ მანმა გაიყვანა.

მანმა მერე დახელოვნებული ბეკივითაც ითამაშა: ბურთი ბერნა-სალს ლელოსკენ ფეხით გაუგორა 9:37. კასტენიედი ოდნავ დაშავდა, მაგრამ ჩვეულ ყაიდაზე წანწალი მაინც გააგრძელა. ამასობაში სკოტებმა შერკინება გადაიხალისეს და ერთ მომენტში ზედიზედ 9-ჯერ ჯიქურ წაილეს წინ ბურთი. და მაინც, ლელო ისევ და ისევ მეტოქის სიტუტუცით გაიტანეს 16:37.

დასასრულ გაიმართა მცირედი მუშტი-კრივიც. შოტლანდიამ მეორე ლელო ველარ გაახერხა, ფინალი კი კომიკური გამოვიდა: კარბონომ გადაცემა ჩაჰრა და ლელოში სიარულით შებრძანდა, ბოლოს კი მანმა და კასტენიედმა წყვილად იშვიათი შოუ მოაწყეს.

ნიკო ვეფხვაძე

აღსრულდა! თბილისელმა რაგბის ქომაგებმა გუშინწინ ცოცხლად (LIVE) პირველად უცქირეს ხუთი ერის პირველობას, რაც აზიის რეგიონული თანამგზავრული ტელევიზია STAR-ისა და აჭაური ტელე-რადიო-კომპანია VII არხის წყალობაა.

ორივეს ულრმესი მადლობა!



# მიუნხენი — ბოლო გაჩერება

პარასკევ საღამოს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა თავისი ევროპული მოგზაურობის ბოლო პუნქტს — ბავარიისა და ლუდის დედაქალაქ მიუნხენს ეწია. აქაური საერთაშორისო ტურნირი, სახელად „მსოფლიოს მიუდოს ხაოსტატი" რომ ჰქვია, ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. სიძლიერეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამჯერად მასში 42 ქვეყნის ფალავნები მონაწილეობდნენ.

შაბათი, 21 თებერვალი

მიუნხენი ისტორიული ქალაქია ქართული ძიუდოსთვის. სწორედ აქ დაიწყეს ჩვენებურებმა ოლიმპიური ოქროების მოპოვება — 1972 წელს ეს შოთა ჩოჩიშვილმა გააკეთა. ამავდროულად, მიუნხენის ტურნირი ერთადერთ ქართველს, დავით ხახალეიშვილს მოუგია, რომელიც მძიმეწონოსანი გახლდათ.

შოთა ჩოჩიშვილი... მძიმეწონოსანი ხახალეიშვილი... შაბათს მიუნხენში მძიმეწონოსანი რამაზ ჩოჩიშვილი ასპარეზობდა და ძალიან ახლოსაც იყო ტურნირის მოგებასთან. რამაზმა ტურნირი მოლდოველ დიმა გადირცას დამარცხებით დაიწყო — რამდენი ილეთის გაკეთებასაც შეეცდებოდა მეტოქე, რამაზი იმდენ კონტრილეთს უმარჯვებდა და მრავალი კოკა-იუკო და ორი ვაზარი დაუგროვდა. მერე იყო გერმანელი კრისტიან ლემანი. ჩოჩიშვილმა ქამარში გადავლებაზე ააწყო ჭიდაობა. გარეფეხით ერთხელ იუკოზე დააგდო მეტოქე, მეორედ — იპონზე.

ევროპაში ერთმანეთთან საჭიდაოდ ჩამოვედითო, ჩოჩიშვილმა და კუბელმა მთაკაცმა ხორხე ფისმა უნდა თქვან. მესამე ტურნირია, ისინი ერთმანეთს ხვდებიან. პარიზში რამაზმა მოიგო, ლეონდინგში - ფისმა. კუბელი პასიურობდა და გაფრთხილებით ჩუიმდე ავიდა, თუმცაღა ერთი ბრუნის გაკეთება და კოკას მიღება მაინც მოახერხა. შეხვედრის შუაწელში ფისი ბრუნის გაკეთებას ცდილობდა. ჩოჩიშვილმა ფეხი დროულად გააცალა მეტოქეს, ხელებით დაქაჩა და იპონზე დაუშვა.

იაპონელმა ტაკუმი სარუვატარიმ ჩოჩიშვილს პარიზში მოუგო. ჩვენებურმა დიდი გარჯის შედეგად მოახერხა რევანშის აღება. ჯერ შიდოთი გააფრთხილებინა, მერე თავად მიიღო მსგავსი ჯარიმა, ოღონდ მეტოქეს უკვე ჩუი ჰქონდა. რამაზმა გარეფეხით იუკო მიითვალა, იგივე შეფასებაც იაპონელის ფეხიდან აგლეჯვით მიიღო. მერე კინაღამ ყველაფერი დაღუპა — ვარდნაში ზურგსუკანა გდება მოინდომა და მეტოქეს ლამის შეაბოჭვინა თავი. ცოტა ხანში გაფრთხილებებით ორივენი კეი-კოკუმდე ავიდნენ. დიდი ძალისხმევის ფასად ჩოჩიშვილმა მოახერხა თავის დაცვა და ფინალში გავიდა.

ფინალში რამაზს ცოტა ფხა რომ გამოეჩინა, იქნებ ჩემპიონიც გამხდარიყო. ესპანელ ოლიმპიურ პრიზიორთან, განათლებითა და პროფესიით ტელეჟურნალისტ ერნესტო პერესთან თავიდანვე პასიურობდა. არც პერესი იკლავდა მაინცდამაინც თავს, მაგრამ აქტიურის იმიჯს მაინც იქმნიდა. ასე იყო თუ ისე, ესპანელი კეი-კოკუთი დააჯარიმეს, რამაზი კი მოხსნეს და მიუნხენის საერთაშორისო ტურნირის ვერცხლის მედალს დააჯერეს.

ნესტორ ხერგიანმაც (60 კგ) კარგად დაიწყო. მართალია, პირველ შეხვედრას იუკოთი აგებდა მაროკოელ აბდელაჰედ იდრისისთან (კისრულზე ჩაუხტა), მაგრამ მერე მაგრად შეუტია და უქმად მდგომი მეტოქე მოახსნევინა.

იტალიელმა ოლიმპიურმა პრიზიორმა ჯიროლამო ჯოვინაცომ პარიზში წმინდად მოუგო ნესტორს. ამჯერადაც უპირატესობა იტალიელისა იყო: ჩავლებას აკონტროლებდა, კოკაც მიითვალა და ჩვენებურს შიდოც აჰკიდა. ხერგიანმა ჩავლება შეცვალა და მდგომარეობა გამოასწორა. მერე კი უკნიდან ცერი ამართყა ჯოვანაცოს და იპონზე დაახეთქა.

ნესტორი კუბელ მანოლო პულოტსაც უგებდა: „წისქვილით" იუკო წაართვა და ერთხანს შებოჭვაზეც ჰყავდა. შემდეგ დამდგარი ჭიდაობა გაჩაღდა და მეტოქეები ჩუიმდე ავიდნენ. ბოლო წუთი მიმდინარეობდა, როცა პულოტმა ბოლო ძალა მოიკრიბა და შეუტია. გდება კი ვერ გააკეთა, მაგრამ მსაჯებმა აქტიურობა ჩაუთვალეს და ხერგიანი კეიკოკუთი გააფრთხილეს. ეს კი წაგებას ნიშნავდა.

სანუგეშო წრეში ხერგიანს პირველად რუმინელი რადუ ლაზარი შეხვდა. მეტოქეს ფეხიდან აყავდა ჩვენებური, ამან კი ხელი ფეხში გამოკრა და კოკა აიღო. მერე ნესტორმა ამოსმული გააკეთა, რაც ვაზარად შეუფასეს. მერე დამდგარ ჭიდაობაში ჩვენებურმა მეტოქეს მკლავი ამოუკეტა, ხელით ფეხებში შეუვარდა და წმინდადაც მოიგო.

უზბეკი ალიშერ მუხტაროვი რომ დაემარცხებინა, ხერგიანი მესამე ადგილისთვის იჭიდავებდა, მაგრამ... დასაწყისში მეტოქემ ვაზარზე დაგეიდო ნესტორი. ჩვენებური კი გააქტიურდა და ერთხელ შებოჭვაზეც დაითრია უზბეკი, მაგრამ გაექცა და შეფასება ვერ მიიღო. ხერგიანი კვლავ უტევდა, ოღონდ უშედეგოდ. ერთადერთს იმას გამორჩა, რომ მუხტაროვი შიდოთი გააფრთხილეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

გიორგი რევაზიშვილს მიუნხენში არ უნდა ეჭიდავა, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა მაღალ, 73 კგ წონით კატეგორიაში გამოსვლა. პირველ წრეში ფრანგი კრისტოფ მასინა, პარიზის ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორი შეხვდა. ჯღანამ მისთვის ჩვეულად, შეუპოვრად იბრძოლა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ 73 კგ მისთვის უცხოა: ფრანგმა იუკოთი მოიგო. შემდეგ მასინა დამარცხდა და რევაზიშვილმა ბრძოლა ველარ გააგრძელა.

კვირა, 22 თებერვალი

ამ დღეს მოჭიდავე სამი ქართველიდან მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის განკარგულებაში მხოლოდ ერთი ჯანმრთელი ძიუდოისტი იყო — გია გუგავა. გიორგი წმინდაშვილმა ჯერ კიდევ ავსტრიაში, ვარჯიშისას დაიზიანა მკერდი და მიუნხენში ველარ იჭიდავა. ივერი ჯიქურაულს (100 კგ) კი ანგინა შეეყარა, რომელიც სუნთქვაშიც და ლაპარაკშიც ძალიან უშლიდა ხელს. მიუხედავად ამისა, ივერიმ მაინც იჭიდავა, თუმცა მნიშვნელოვან შედეგს მისგან არც არავინ ელოდა.

რუმინელმა გაბრიელ მუნტიანუმაც შესანიშნავად შეირგო ღვთისგან ბოძებული საჩუქარი. მან მისვლისთანავე ვაზარზე დააგდო ჩვენებური. მართალია, ჯიქურაულმაც შეუტია, მაგრამ არც სუნთქვა შეეძლო და დასუსტებულს აღარც ჯანი მოსდევდა ამა თუ იმ ფანდის ბოლომდე მისაყვანად. რუმინელმა კი შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა.

გვრჩებოდა ერთადერთი იმედი — გია გუგავა (90 კგ), რომელმაც შესანიშნავად დაიწყო. გერმანელ კარსტენ ჰუნკეს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა — ჯერ ორჯერ გააფრთხილებინა, მერე ორი კოკა წაართვა — ერთი — მოჩეხვით, მეორე — ამოსმულით. ბოლოს კი ჩოქბჯენში ჩააგდო და შებოჭა.

რუსი ვადიმ არხიპოვი გიასთვის უხერხული სტილის მეტოქე იყო, რუსმა ორჯერ არასწორად ჩაავლო შარვალს ხელი და ამისთვის გაფრთხილებით ჩუის მიაღწია. გუგავა ამის გამო ცოტათი დაწყნარდა, არხიპოვმა კი ეს გამოიყენა და ჯერ მოჩეხვით ანგარიში გაათანაბრა, მერე კი ჩვენებურს შიდო აჰკიდა. გუგავამ ცოტაც შეიცადა და მერე შეუტია. რუსი კეი-კოკუთი გააფრთხილეს. მერე კი, მუხლებზე შეგნებულად დაცემისთვის, საერთოდ მოხსნეს.

იტალიელი მიკელე მონტი მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორია. მასთან შეხვედრა გუგავამ ფრთხილად დაიწყო და ამისთვის შიდოთი დაჯარიმდა. მერე მდგომარეობა გამოასწორა — ხშირად ართმევდა იტალიელს ჩავლებას და უპირატესობაც მოიპოვა. თითქოს ყველაფერი უნდა შეცვლილიყო, მაგრამ, მოულოდნელად, ტატამის კიდეზე ჩატარებულ ფანდისას ფეხი უხერხულად მოჰყვა და კოჭი ამოიტრიალა. ტრავმა იმდენად სერიოზული გამოდგა, რომ გიამ შეხვედრის გაგრძელება ველარ შეძლო. ჩვენებურს სანუგეშო წრეშიც შეეძლო ასპარეზობის გაგრძელება, მაგრამ ტკივილმა არ დაანება.

მერაბ რატიშვილი
მიუნხენიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიბრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო აზვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29